www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 20 ნოემბერი, 2013 წელი. | №3411 (218) | ფასი 50 თეთრი

მომავალი პრემიერის ემოციური დღე

საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ ირაკლი ღარიბაშვილსა და საპარლამენტო უმცირესობას შორის გუშინ გამართული შეხვედრა რამდენიმე საათს გრძელდებოდა და მწვავედ წარიმართა. უმცირესობის სხდომას მინისტრთა კაბინეტის მომავალი წევრები ესწრებოდნენ.

ირაკლი ღარიბაშვილმა უმცირესობას სამთავრობო პროგრამა გააცნო. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის თქმით, მთავრობის მიზანი დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

მინისტრობის კანდიდატებს კომიტეტებმა მოუსმინეს

პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს დღეს განიხილავენ. მანამდე კი მინისტრობის თითოეულ კანდიდატს პარლამენტის შესაბამისი პროფილის კომიტეტებში მოუსმინეს და არაერთი კითხვა დაუსვეს.

ღარიბაშვილის მთავრობაში ბიძინა ივანიშვილის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა თითქმის სრულად არის შენარჩუნებული, მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატია ახალი. ლექსო ჭიკაიძეს საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა მისი გამოცდილებისა და იმ გახმაურებული საქმეების შესახებ დაუსვეს კითხვები, რომლებსაც შსს იძიებს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ჩიორა თაქთაქიშვილმა ჭიკაიძეს იმ განცხადების დაზუსტება სთხოვა, რომელშიც შს მინისტრობის კანდიდატი თავისი წინამორბედის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ დაწყებული რეფორმების გაგრძელებაზე ამახვილებდა ყურადღებას.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

რატომ უარყოფს ბრალდება „დენსუსის„ ექსპერტიზას?

ვანო მერაბიშვილი: ხელისუფლებისთვის და ბიძინა ივანიშვილისთვის ეს დასკვნა საბედისწეროა

თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ 26 მაისის საქმეზე ვანო მერაბიშვილის პროცესი გაიმართა. ვანო მერაბიშვილს 2011 წლის 26 მაისის მოვლენებისას დამამძიმებელ გარემოებებში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედება ბრალად.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ ვანო მერაბიშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გუშინდელ წინასასამართლო სხდომაზე საქართველოს შს ყოფილმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მტკიცებულებათა ნუსხაში 26 მაისის შესახებ ამერიკული კერძო კომპანია „დენსუსის“ მიერ მომზადებული დასკვნის ჩადება მოითხოვა.

მერაბიშვილის განცხადებით, ამ დასკვნის გარეშე სასამართლო პროცესებს აზრი ეკარგება. მისივე თქმით, აღნიშნულ დასკვნაში ნათლად ჩანს, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდება უსაფუძვლოა.

„ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რათა ეს დასკვნა საჯარო არ გამხდარიყო. 2011 წელს, 26 მაისის შემდეგ, შს სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმართა, რომ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს დასკვნა მოემზადებინათ, რათა სამინისტროს ქმედებები შეგვესწავლა. ეს დოკუმენტი, ჩვენი შეთანხმებისამებრ, არ გვინდოდა, გამოქვეყნებულიყო, რათა არ ჩათვლილიყო, რომ ეს თავის მართლება იყო.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

უკრაინას ევროინტეგრაციისკენ ნაბიჯის გადადგმა უჭირს

ივა ჭილაკაძე

18 ნოემბერს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს უკრაინასთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. წინასწარი გეგმით, ამ მინისტერიალს ეს საკითხი დღის წესრიგში ჰქონდა, თუმცა ბოლო დღეებში, უკრაინაში განვითარებული მოვლენების, უფრო სწორად, უმოქმედობის გამო უკვე ცხადი იყო, რომ ევროკავშირიც მოცდას ამჯობინებდა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓
თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

სამოა თბილისშია, ბორჯღალოსნები - „შევარდენზე„

გიგა გურასაშვილი

აშშ-ის ნაკრებთან მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე წაგებული მოგებული მატჩის შემდეგ ძნელი უნდა იყოს შემდეგი შეხვედრისთვის ფსიქოლოგიურად განწყობა, მაგრამ... რაგბი ჩვენი თამაშია. შაბათს, მიხეილ მესხის სტადიონზე, ბორჯღალოსნებს სამოას ნაკრებთან წლის ბოლო ტესტ-მატჩი აქვთ. შაბათს გიორგობაა და, გარკვეული თვალსაზრისით, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებისთვის ეს დიდი მოტივაციაც უნდა იყოს და გარკვეული წნეხიც, დიდ სარაგბო ჯახში წარმატებისთვის იბრძოლო.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

რეალური ფოტოგრაფია

კონკურსი „ფოტომანია 2013“ წელს საერთაშორისოა

ია ვეკუა

ფოტო მზა პროდუქტია, შედეგია, რომლის შესაქმნელადაც მის ავტორს ან ღილაკზე წამიერი დაჭერა სჭირდება ან ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი. კარგი შედეგის მიღწევა ორივე შემთხვევაში შეიძლება, თუმცა თუ პირველ შემთხვევაში ყველაფერი იღბალზეა დამოკიდებული, მეორე მთლიანად ფოტოგრაფის ოსტატობაზე, გემოვნებასა და ტექნიკურ ცოდნას ეფუძნება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

N 19/11/04 2013 წლის 19 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

1. მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, 2013 წლის 20 ნოემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ყველას კონკურსის გამოცხადებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

3. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, რომელსაც აქვს ეკონომიკის, საჯარო ადმინისტრირების, ბიზნესადმინისტრირების, სამართლის, ელექტრონული კომუნიკაციების ან ჟურნალისტიკის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, 3 წლისა - მმართველ თანამდებობაზე.

4. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის კონკურსის სამდივნოში წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;

ბ) კანდიდატის ერთი ფოტოსურათი;

გ) ავტობიოგრაფია;

დ) უმაღლესი განათლების (შესაბამისი სპეციალობის) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ვ) არანაკლებ 10 წლის სამუშაო გამოცდილების, აქედან 3 წელი მმართველ თანამდებობაზე მუშაობის, დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) ხელწერილი, რომ პირი გაეცნო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრისათვის მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს;

თ) სარეკომენდაციო ხასიათის წერილები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. საბუთები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქ. N1, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, კონკურსის სამდივნო.

6. კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შექმნას კონკურსის სამდივნო და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები.

გიორგი მარგველაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

N 19/11/03 2013 წლის 19 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 2013 წლის 20 ნოემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა შესარჩევად.

2. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და რომელსაც აქვს არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

3. საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 14 დღისა (მისამართი: ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქ. №1, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საკონკურსო კომისია).

4. თუ ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ერთ ვაკანსიაზე არანაკლებ 2 კანდიდატურა არ იქნება წარდგენილი, კონკურსი გრძელდება იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც მოხდება ერთ ვაკანსიაზე არანაკლებ 2 კანდიდატურის წარდგენა.

5. საკონკურსოდ წარდგენილ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: კანდიდატის გვარი, სახელი, განათლება (უმაღლესი), სპეციალობა, სამეცნიერო ხარისხი (თუ აქვს), მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის შესაბამისად), სამუშაო ადგილი და თანამდებობა, საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს). განცხადებას ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა დაერთოს:

ა) კანდიდატის 2 ფოტოსურათი;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი;

გ) უმაღლესი განათლების (სამეცნიერო ხარისხის - თუ აქვს) დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

დ) არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქსეროასლი;

ვ) კანდიდატის შრომითი ბიოგრაფია;

ზ) არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება);

თ) ხელწერილი, რომელიც ადასტურებს პირის შესაბამისობას საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-12 მუხლის მე-5 ნაწილითა და საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

გიორგი მარგველაშვილი

მინისტრობის კანდიდატებს კომიტეტებმა მოუსმინეს

პირველი გვერდიდან

„ვიცოდით, რომ პოლიციის სისტემაში რეფორმა ვანო მერაბიშვილმა დაიწყო, მის მიერ დაწყებული რეფორმების გაგრძელებას არ აპირებთ? ღარიბაშვილმა კი ერთი წლის განმავლობაშირ „რეიდები“ დაამკვიდრა, ამ პერიოდში თქვენ თბილისის სამმართველოს უფროსი იყავით, იზიარებთ, რომ რეიდების პრაქტიკა უნდა დამკვიდრდეს?“ - მიმართავს თაქთაქიშვილი მომავალ შინაგან საქმეთა მინისტრს.

ჭიკაიძემ ოპოზიციონერს უპასუხა, რომ ის, რასაც იგი „რეიდებს“ უწოდებს, პრევენციული ღონისძიებები იყო, როდესაც დანაშაულში მხილებული რამდენიმე პირი დააკავეს და ასევე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ფაქტები გამოავლინეს.

თაქთაქიშვილმა ჭიკაიძეს კითხვაზე პასუხის გაცემისკენ მოუწოდა, მინისტრობის კანდიდატმა კი საუბრის გაგრძელება არ ისურვა. **ოროსნობა ჰქვია ამას, როცა დასმულ კითხვას პასუხს არ სცემენ,“** - შეაფასა თაქთაქიშვილმა ჭიკაიძის ქმედება.

უმრავლესობის წევრი ანი მიროტაძე დაინტერესდა, ლექსო ჭიკაიძე შინაგან საქმეთა მინისტრების იმ კატეგორიას ხომ არ განეკუთვნება, რომლებსაც მოსწონთ ეპითეტები „რკინის კაცი“ და „ხერხემალი.“ როგორც ჭიკაიძე ამბობს, იგი ირაკლი ღარიბაშვილის კურსს ღირსეულად გააგრძელებს და მისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პოლიციელისთვის, კომფორტულია, როდესაც პოლიცია დეპოლიტიზებულია. ჭიკაიძე გამჭვირვალე მუშაობის პირობას დებს და აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მზად იქნება, საზოგადოებისთვის ყველაფერი ხილული იყოს.

დანაშაულის გახსნის სტატისტიკის შესახებ დასმულ კითხვაზე პასუხისას ლექსო ჭიკაიძემ აღნიშნა, რომ იმ ფონზე, როდესაც სასჯელაღრულების დაწესებულებებიდან 17 000-მდე პატიმარი გამოვიდა, თავიდან რაღაც პრობლემები იყო, მაგრამ შემდეგ ვითარება გამოსწორდა და უკეთესობისკენ წავიდა.

უმცირესობის წევრ პავლე კუბლაშვილის შეფასებით, ლექსო ჭიკაიძეს არც ერთ კითხვაზე არ უპასუხია. კუბლაშვილის თქმით, თვითონ უმრავლესობის წევრებიც უნდა დაფიქრდნენ, რამდენად სწორია პოლიტიკურ თანამდებობაზე ისეთი ადამიანის წარდგენა, რომელსაც საკომიტეტო განხილვების დროს კითხვებზე პასუხის გაცემა არ შეუძლია. **„ჭიკაიძე შეიძლება, კარგი პოლიციელი იყოს, მაგრამ რამდენად იქნება კარგი მინისტრი, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ არის,“** - დასძენს კუბლაშვილი.

უმცირესობის შეფასებებს, ბუნებრივია, უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე არ იზიარებს. **„უმცირესობის წევრები აღზრდილები ან გამოყვანილები არიან ისეთ პოლიტიკოსებად, რომლებისთვისაც იდეალური მინისტრი ვანო მერაბიშვილია. მათთვის ერთადერთი საფიცარი ქვეყნის „ხერხემალი“ ვანო მერაბიშვილი იყო. ჭიკაიძე კი მერაბიშვილის სრული ანტიპოდია,“** - მიიჩნევს საგანელიძე.

კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ასევე ძირითადად უმცირესობის წევრების მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა იუსტიციის მინისტრობის კანდიდატმა თეა წულუკიანმა. აკაკი მინაშვილმა საასამართლოს რეფორმის მიზნით გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ვენეციის კომისიის შენიშვნები გაიხსენა.

„არ მგონია, რომ ქვეყანას ვენეციის კომისია მართავს, ქვეყანას მთავრობა მართავს, რომელიც რეფორმებზე პასუხს აგებს. ვენეციის კომისიის თითქმის ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია, რაც ჩავლილი პროცესია და პარლამენტში მათ განსახილველად არ მოვსულვარ,“ - თქვა წულუკიანმა.

ჩიორა თაქთაქიშვილმა თეა წულუკიანს ცოტა ხნის წინათ გაკეთებული განცხადებები შეახსენა. **„წულუკიანის მიზანი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განადგურებაა, ივანიშვილი კი აცხადებდა, რომ პროკურატურასთან რიგები იმ შემთხვევაში შემცირდება, თუ „ნაციონალური მოძრაობა“ რიტორიკას შეიცვლის,“** - აღნიშნა თაქთაქიშვილმა.

წულუკიანმა უმცირესობის წევრის საპასუხოდ თქვა: „როდესაც საქართველოში დავბრუნდი, შესანიშნავად ვიცოდი, რომ საქმე „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მქონდა. ბიძინა ივანიშვილის კოალიციამ ნაძალადევში „ნაციონალური მოძრაობა“ სანაქებოდ დაამარცხა.“

სასჯელაღსრულების მინისტრობის კანდიდატ სოზარ სუბარს აკაკი მინაშვილმა იმ ჩანაწერის შესახებ ჰკითხა, რომელიც თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას საკანში მისი და ახალაიას შეხვედრასა და საუბარს ასახავს. როგორც მინიაშვილი ამბობს, „ქართული ოცნების“ მთავარი საარჩევნო დაპირება სწორედ ის იყო, რომ თვალთვალი არ იქნებოდა. **„თქვენ შეგვპირდით, რომ ბაჩო ახალაიას ხელმოწერით თვალთვალის ნებართვის შესახებ ოქმს გაავრცელებდით, თუმცა ასე არ მოქცეულხართ,“** - მიმართავს სუბარს მინაშვილი.

უმცირესობის წევრი ნუგზარ წიკლაური ლევან კორტავას საქმით დაინტერესდა. მისი თქმით, კორტავა ციხის დაწესებულებაში პერმანენტული წამებით მოკლეს, თუმცა ამ საქმეში ბრალდებული ერთ-ერთი პირი, ციხის დირექტორი მალხაზ სინაურიძე დაუსჯელია, მან საზღვარიც კი გადაკვეთა. **„მისთვის ასეთი მხარდაჭერა იმასთან ხომ არ არის დაკავშირებული, რომ ის ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ წარმოებულ საქმეში ერთ-ერთი მოწმეა?“** - ჰკითხა სუბარს წიკლაურმა.

სოზარ სუბარის შეფასებით, მძიმე დანაშაული მოხდა - მკვლელობა, ოღონდ ეს პერმანენტული ცემის შედეგი არ ყოფილა. სუბარის ინფორმაციით, ციხეში შესვლიდან 30 წუთში კორტავა უკვე საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც სუბარი ამბობს, მკვლელობის ბრალდებით პასუხისგებაში 5 ადამიანია მიცემული, ხოლო ციხის 7 თანამშრომელი პასუხისგებაში იმის გამოა მიცემული, რომ მათ ადეკვატური ზომები არ მიიღეს და ინფორმაცია დამალეს.

უმცირესობის წევრებს კითხვები არ ჰქონდათ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატ პაატა ზაქარეიშვილთან. აკაკი მინაშვილმა მხოლოდ ის თქვა, რომ ზაქარეიშვილი არის ადამიანი, რომელიც მთავრობაში რუსეთის პოზიციას ახმოვანებს. მინაშვილი იხსენებს, რომ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანა სწორედ ზაქარეიშვილის ინიციატივით იგეგმებოდა.

კომიტეტების სხდომის წამყვანმა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ აკაკი მინაშვილს კითხვის დასმა სთხოვა და შეახსენა, რომ შეფასებები შეუძლია, პლენარულ სხდომაზე გააკეთოს. მინაშვილი ხმალაძეს არ დაემორჩილა, რის შემდეგაც მას ხმალაძემ მიკროფონის გამორთვა სთხოვა. საბოლოოდ, ოპოზიციონერმა აღნიშნა, რომ ზაქარეიშვილის მიმართ კითხვები არც მას აქვს.

„ჩვენი აპარატის საქმიანობა იმდენად წარმატებულია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ კითხვები არ აქვს, რითიც მოხარული ვარ,“ - თქვა პაატა ზაქარეიშვილმა. მან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ დიალოგის ახლო მომავალში დაწყების მოლოდინი არსებობს. **„ის ვითარება, რომელშიც აფხაზები და ოსები არიან, აუტანელია. თუ საქართველოს მთავრობა შეცდომებს არ დაუშვებს, პროცესი დაიწყება,“** - მიიჩნევს პაატა ზაქარეიშვილი.

ზაქარეიშვილის შეფასებით, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ყველა სტრუქტურა კარგად მუშაობს, ეს ეხება ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობის მიმართულებას, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხებს, ასევე აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობას. **„ვერ ნახავთ მხარეს, რომელიც ვითარების გაუარესების შესახებ საუბრობს,“** - ამბობს პაატა ზაქარეიშვილი.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატმა უმრავლესობის მიერ დასმულ კითხვას უპასუხა, რომელიც გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრებს ეხებოდა. როგორც ზაქარეიშვილი ამბობს, ეს მექანიზმი გალში უკვე მეორე წელია, შეჩერებულია, თუმცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და თავდაცვის სამინისტრომ ინციდენტების პრევენციის ტვირთის თავის თავზე ასაღებად ყველაფერი გააკეთეს. **„მაშინ როდესაც ინციდენტების პრევენციის მექანიზმი არ მუშაობს, გალის რაიონში დაძაბულობა ერთ-ორად დაეცა და ეს ძალიან მნიშვნელონია. ქართული მხარისკენ თითს ვერავინ გაიშვერს,“** - თქვა ზაქარეიშვილიმა. თუმცა, მისი აზრით, არ შეიძლება, კონფლიქტების მოგვარების მთელი სიმძიმე ძალოვნებზე იყოს დამოკიდებული. მინისტრობის კანდიდატი იმედს გამოთქვამს, რომ ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმი ერთ თვეში აღდგება.

თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ კი დეპუტატებს უთხრა, რომ თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობის დაკონსერვების გადაწყვეტილება სამხედროებმა მიიღეს, მათი ნაწილი კი იმ კონდიციამდეა მიყვანილი, რომ სამხედრო მიზნებისთვის გამოყენება შეიძლება. ალასანია თავდაცვითი ზღუდეების შესახებ მიხეილ სააკაშვილის მიერ ჯერ კიდევ პრეზიდენტის რანგში გაკეთებულ განცხადებას იხსენებს. **„უკიდურესად გაკვირვებული ვიყავი, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა ასეთი განცხადებები გააკეთა და მიანიშნა ადგილები, ასევე რა ხასიათის იყო ეს ზღუდეები. მაგრამ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში სამხედროებმა უკეთ იციან, რომელი ინფრასტრუქტურა - საინჟინრო და სამხედრო - სჭირდებათ საკუთარი ამოცანების შესრულებაში და მე ნაკლებად ვერევი ასეთ კონკრეტულ სამხედრო გადაწყვეტილებებში. მე მინისტრი ვარ, რომელმაც პოლიტიკურად და ფინანსურადაც უნდა უზრუნველყო მათი დამოუკიდებლობაც და თავდაცვის განხორციელებისთვის მათთვის ინსტრუმენტების მიცემა,“** - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ყველაზე ხანგრძლივი დავა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრობის კანდიდატ ნოდარ ხადურთან შეხვედრას მოჰყვა. უმცირესობის კითხვები, ძირითადად, მიმდინარე წლის ბიუჯეტის შევსებისა და 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის საკითხებს ეხებოდა. **„წელს ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების გზით 100 მილიონი ლარით ნაკლები შევიდა, რით არის ეს განპირობებული?“** - ჰკითხა ხადურს უმცირესობის წევრმა პეტრე ცისკარიშვილმა.

ნოდარ ხადურმა დააზუსტა, რომ თანხა კი არ შემცირებულა, არამედ იმდენით არ გაიზარდა, რამდენითაც უნდა გაზრდილიყო. **„შარშან არადეკლარირებული საგადასახადო შემოსავლები 100 მილიონ ლარამდე იყო, რაც ბიზნესისთვის შეწერილი ფულია, მათ შორის საშემოსავლო გადასახადის კომპონენტში,“** - დასძენს ხადური.

ეკონომიკური ზრდის დაბალი მაჩვენებლის შესახებ დასმულ კითხვაზე პასუხისას კი ხადური აღნიშნავს, რომ გასულ წლებში იუსტიციის სახლებისა და სხვა მასშტაბური მშენებლობებით შეიქმნა ილუზია, რომ საქართველოში ეკონომიკის ზრდა მაღალია, სინამდვილეში კი საქართველოში ბოლო 9 წლის განმავლობაში საშუალო ეკონომიკური ზრდა 3.5-პროცენტია. **„მაგალითად, ქუთაისში პარლამენტის მშენებლობისთვის 340 მილიონი ლარი დაიხარჯა, ეს თანხა მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელში შევიდა. შესაბამისად, ამან ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გაზარდა, ისევე როგორც „ბათუმი თაუერის“ მშნებლობამ. ეკონომიკის ზრდა იყო ციფრებში, მაგრამ ამას საზოგადოება ვერ გრძნობდა,“** - ამტკიცებს ნოდარ ხადური.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მომავალი პრემიერის ემოციური დღე

პირველი გვერდიდან

ღარიბაშვილი რეფორმების აქტიურად განხორციელების პირობას დებს. როგორც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ამბობს, ხელისუფლება, საზოგადოების მონაწილეობით, საკონსტიტუციო რეფორმას გაატარებს, ამასთან, მნიშვნელოვნად შეცვლის საკანონმდებლო ბაზას, შექმნის რეალურ თვითმმართველობას, ფუნდამენტურ ცვლილებას გაატარებს მართლმსაჯულების სფეროში, უზრუნველყოფს მრავალპარტიულ პოლიტიკურ ცხოვრებას, პოლიტიკური წნეხისგან თავისუფალ საჯარო სამსახურს და განსაზღვრავს ქვეყნის უახლოეს, საშუალო და გრძელვადიან პოლიტიკას. ღარიბაშვილის განცხადებით, კანონის უზენაესობა დამკვიდრდება, დანაშაულისთვის სასჯელი გარდაუვალი იქნება, ხოლო პოლიტიკური ნიშნით დევნა - დაუშვებელი.

ღარიბაშვილი ირწმუნება, რომ ნატო-სა და ევროკავშირში გასაწევრიანებლად მთავრობა ძალისხმევას გააგრძელებს. მისი თქმით, დაიწყება და შეუქცევადი გახდება ქვეყნის გამთლიანების პროცესი, რისთვისაც აფხაზეთთან და ოსეთთან დიალოგის გზები მოიძებნება. ამასთან, როგორც პრემიერობის კანდიდატი ამბობს, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, რუსეთთან მოლაპარაკებებში კონკრეტული შედეგები იქნება მიღწეული.

ღარიბაშვილთან გამართული შეხვედრა არა იმდენად მთავრობის პროგრამის განხილვას, არამედ შინაგან საქმეთა მინისტრობის ერთწლიან პერიოდში ღარიბაშვილის მუშაობის შეფასებას დაეთმო.

ირაკლი ღარიბაშვილი საპარლამენტო უმცირესობიდან ტრადიციულად ნეპოტიზმის შესახებ დასმულ კითხვებს მოელოდა, ამიტომ მან ამ საკითხის დაკნინების მიზნით თავიდანვე მოიკითხა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ირმა ნადირაშვილი და სიახლე ტრიბუნიდან აუწყა: »აღმოვაჩინე, რომ თქვენ ჩემი ნათესავი ხართ.“

ღარიბაშვილის იუმორს ხელი არ შეუშლია საპარლამენტო უმცირესობის წევრებისთვის, რათა მათ ნეპოტიზმის შესახებ ესაუბრათ. ლევან ბეჟაშვილმა მომავალ პრემიერს ჰკითხა, აპირებს თუ არა თანამდებობებზე ნათესავების დანიშვნის აკრძალვას? **„იხმართ თუ არა რამე ღონეს, რომ ნეპოტიზმი, როგორც კორუფციული მოვლენა, აღმოიფხვრას და გააკეთებთ თუ არა განცხადებას, რომ ქვეყანა ნეპოტიზმისგან იხსნათ,“** - მიმართავს ოპოზიციონერი ღარიბაშვილს.

ირაკლი ღარიბაშვილი ლევან ბეჟაშვილის კითხვას არასერიოზულად მიიჩნევს.

„არ შეიძლება, ამ კითხვას სერიოზული პასუხი გაეცეს, როცა ჩემი ნათესავი ირმა ნადირაშვილი გვერდით გიზით. მისი მეუღლეც ჩემი ნათესავია, თბილისის ერთ-ერთი რაიონის გამგებელი. როცა ნეპოტიზმზე საუბრობთ, ნუთუ არ გრცხვენიათ? როცა თქვენი ნათესავები წლების განმავლობაში მუშაობდნენ და დღესაც მუშაობენ, ჩვენი ხელისუფლების პირობებში. იგივე რომ გამეკეთებინა, ეს კედლები შემოსილი იქნებოდა თქვენი ნათესაური და კორუფციული კავშირებით. ჩემი 3-4 ნათესავი რომ მუშაობს, თუ ეს კორუფციად მიგაჩნიათ, მაშინ ძალიან გიჭირთ, ბატონო ლევან. საუბრობთ, რომ მე უნდა ვიყო გამაერთიანებელი, გეთანხმებით. ეს მე შევძელი და ჩემი სამინისტრო ერთ ოჯახად გავაერთიანე,“ - მიმართავს ბეჟაშვილს ღარიბაშვილი.

ამავე თემას ეხებოდა ირმა ნადირაშვილის კითხვა, თუმცა მისი კითხვის ადრესატი არა ღარიბაშვილი, არამედ დარბაზში მყოფი შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატი ლექსო ჭიკაიძე იყო. ნადირაშვილი დაინტერესდა, აპირებს თუ არა ჭიკაიძე, ირაკლი ღარიბაშვილის გზა გააგრძელოს და სამინისტროში ნათესავები, მეგობრები, კლასელები, ნათლიები დაასაქმოს. **„ნეპოტიზმის ნათელი მაგალითი თავად ხართ ამ დარბაზში,“** - მიმართავს ჭიკაიძეს ნადირაშვილი და განაგრძობს, - **პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა თვითონ თქვა, რომ მისი ახლობელი ხართ. წინაღმდეგ შემთხვევაში, თქვენ ამ პოსტზე კანდიდატად ვერ მოხვდებოდით. 9 თვეში ვერც იმ გზას გაივლიდით, რაც თქვენი ჩინის მატებაში გამოიხატა.“**

ნადირაშვილს ღარიბაშვილმა საუბარი არაერთხელ გააწყვეტინა, დეპუტატმა კი წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ ღარიბაშვილს უმცირესობასთან სასაუბროდ ასეთი ტონის შერჩევა ალბათ ბიძინა ივანიშვილმა ურჩია. **„დიახ, მე ყოველთვის ვითვალისწინებ ბატონი ბიძინას რჩევებს,“** - გამოეხმაურა ნადირაშვილს ღარიბაშვილი. ნადირაშვილმა განაგრძო: **„მე კითხვა მაქვს ლექსო ჭიკაიძესთან - დატოვებთ თუ არა თქვენს ნათესავებს თანამდებობებზე?“ „დაუდასტურე ლექსო,“** - მიმართა მომავალ მინისტრს პრემიერობის კანდიდატმა. ჭიკაიძეს დეპუტატის სახელიც ღარიბაშვილმა შეახსენა, რის შემდეგ მომავალმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ირმა ნადირაშვილს უპასუხა: **„დიახ, ვაპირებ, თუ ისინი კარგად იმუშავებენ.“**

ირაკლი ღარიბაშვილმა სხდომის წამყვანს, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე გოკა გაბაშვილს მიმართა, შეხვედრაზე უფრო სერიოზული კითხვები დასმულიყო, რაზეც გაბაშვილმა უპასუხა, რომ მისი გემოვნების შეკითხვები ცოტა ხანში, შემდეგ შეხვედრაზე (უმრავლესობასთან) იქნებოდა. გაბაშვილის პასუხს ღარიბაშვილის რეპლიკა მოჰყვა: **მე შეგირჩევთ შეკითხვებს და ძალიან მძიმე შეკითხვებს შეგირჩევთ, უკვე შერჩეული მაქვს!“**

ლექსო ჭიკაიძეს უმცირესობის კიდევ ერთი კითხვა ეხებოდა. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ადასტურებს, რომ 2011 წლის 26 მაისს შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატი რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა, თუმცა ამტკიცებს, რომ იგი არ არბევდა. **„ლექსო მაშინ შსს-ში მუშაობდა. 26 მაისს თავის მოვალეობას ასრულებდა - ეს ლექსოსაც არ დაუმალავს, თუმცა ის არ იყო დამარბეველი. ასე რომ, ვერ გავიგე თქვენი კითხვის არსი, ლექსოს მიმართ რა კითხვა არსებობს, არ მესმის. ვისაც ჩვენ ბრალი წარვუდგინეთ, ეს ვანო მერაბიშვილია. გამოძიებას კითხვები აქვს არა დარბევაში მონაწილე პოლიციელებთან, არამედ ბრძანების გამცემებთან,“** - უპასუხა ღარიბაშვილმა დავით საყვარელიძეს.

შეხვედრაზე ვითარების დაძაბვა ხურჩაში მომხდარი ინციდენტის გამოძიების შესახებ დასმულმა კითხვამ გამოიწვია. ვიცე-სპიკერმა გიორგი ბარამიძემ ირაკლი ღარიბაშვილს მატყუარა უწოდა. **„თქვენ უნდა აღიაროთ, რომ საკუთარ ხალხს ტერაქტებს უწყობდით,“** - უპასუხა ღარიბაშვილმა ბარამიძეს. „კიდევ გიმეორებთ, დაფიქრდით, რას ლაპარაკობთ, თქვენ ხართ უბრალოდ მატყუარა,“ - გაუმეორა ბარამიძემ ღარიბაშვილს. საუბარში უმცირესობიდან გივი თარგამაძე ჩაერთო.

„თქვენ არავინ ხართ, ბიძინა ივანიშვილიც კი არ ხართ, უბრალოდ, კანდიდატი ხართ, ვის უშვერთ ხელებს, ბრალს გვდებთ, ტონს დაუწიეთ,“ - მიმართა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს თარგამაძემ.

უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე დაინტერესდა, შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობის პერიოდში ირაკლი ღარიბაშვილს ჰქონია თუ არა ჩავარდნა, რაზეც შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა უპასუხა, რომ მას მუშაობის დროს ჩავარდნა არ ჰქონია.

ღარიბაშვილს რაფალიანცის საქმის შესახებაც ჰკითხეს. **„ბარბარე რაფალიანცის საქმეზე განმარტება გავაკეთე. პრინციპში შემიძლია, იგივე გავიმეორო. ეს ძალიან მძიმე საქმეა. სამწუხაროდ, გამოძიება არასწორი მიმართულებით წავიდა, 25 დღის განმავლობაში პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა, მე დავინიშნე 30 ოქტომბერს, ეს შემთხვევა 30 სექტემბერს მოხდა. შესაბამისად, გამოძიება მანამდე ჩიხში შეიყვანეს. ამის გამო ბოდიშიც კი მოვიხადე, მაშინ ვიჩქარე, როცა ვთქვი, რომ ეს გამოძიება დასრულდებოდა და კონკრეტული თარიღიც დავასახელე. ასე რომ, თუ გინდათ იგივე გავიმეორო, კი, ბატონო, არ მერიდება,“** - ასე გამოეხმაურა ირაკლი ღარიბაშვილი აკაკი მინაშვილის კითხვას.

ნუგზარ წიკლაურმა პრემიერობის კანდიდატს პოლიტპატიმრის სტატუსით პატიმრობიდან რუსეთის მოქალაქეების შკრილნიკოვის და გევორქიანის გათავისუფლების შესახებ გაკეთებული განცხადებები გაახსენა. ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ მას ამ საკითხის მიმართ თავიდანვე უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის თქმით, სამწუხაროდ, პოლიტპატიმართა სიაში, ამ ადამიანებთან ერთად, კიდევ რამდენიმე პირი მოხვდა, რაც შეცდომა იყო.

უმცირესობა „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ მოქმედი ე.წ „ოდეერის“ საკითხითაც დაინტერესდა. **„არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს მონაცემების თანახმად, საზოგადოებრივ მაუწყებელში იმყოფება შსს-ს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ოფიცერი, ვინმე ციბაძე, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრებს აშანტაჟებს. ამის შესახებ სამეურვეო საბჭომ, არაერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ განცხადებები გაკეთეს. მაინტერესებს, აპირებთ თუ არა თქვენ გაითვალისწინოთ, მაგალითად, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს რეკომენდაცია და ციბაძე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ტერიტორიიდან გაიყვანოთ?“** - მიმართა კანდელაკმა ღარიბაშვილს.

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ამბობს, რომ ამ კითხვას არ უპასუხებს, რადგან მისთვის „ნაციონალური მოძრაობისგან“ ამ კითხვს დასმა მიუღებელია.

„ოდეერებს“ და კონკრეტულად ამ ადამიანს ნამდვილად არ ვიცნობ. მაგრამ, მინდა, კიდევ ერთხელ ვაჩვენო საზოგადოებას, როგორი უსამართლოები ხართ. წლების განმავლობაში ძალიან კარგად იცოდით, რომელ სამინისტროში რომელი „ოდეერი“ იყო და რა დავალებს იღებდნენ. არასდროს გაგჩენიათ შეკითხვა და ვერც გაბედავდით, ჩემი წინამორბედისთვის გეკითხათ, თუ რატომ არიან სამინისტროებში „ოდეერები“. მე ამ კონკრეტულ შეკითხვაზე პასუხს იმიტომ არ გაგცემთ, რომ თქვენგან ამ შეკითხვას არ მივიღებ. თქვენ 9 წლის განმავლობაში შეგეძლოთ, ეგ შეკითხვა დაგესვათ,“ - მიმართა ღარიბაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს.

გიორგი კანდელაკის შეფასებით, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ნამდვილად არის უშიშროების სამსახურის ოფიცერი.

ღარიბაშვილი უმცირესობის წევრებმა სპეცრაზმების მიმართ უყურადღებობაში დაადანაშაულეს. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი კი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ნეოფაშისტურ წარმონაქმნს უწოდებს. **„თუ ვინმემ რამე გააკეთა სპეცდანიშნულების რაზმებისთვის, ვარ მე, თუ რომელიმე სამინისტროში იყო ყველაზე დიდი მხარდაჭერა, ვიყავი და ვარ მე. სპეცდანიშნულების რაზმები და მათი ბაზები მძიმე მდგომარეობაში იყო. მე ვიყავი ის მინისტრი, რომელმაც თითქმის ყველა ბაზაზე დავიწყე პროექტების განხორციელება. მე გავაკეთე ისეთი რაღაცები, რაც თქვენ 9 წლის განმავლობაში არ გაგიკეთებიათ. ამუნიციაც მე შევიძინე, იარაღებიც მე შევიძინე, ძალიან ბევრი გავაკეთე, რაც თქვენ 9 წლის განმავლობაში არ გაგიკეთებიათ, მაგრამ თქვენ უსირცხვილოდ გამოდიხართ და მეუბნებით, რომ მე თურმე სპეცდანიშნულების რაზმებს ვებრძვი. ეს არის ცინიზმი, ეს არის ტყუილი.**

თქვენ წარმოადგენთ წინა ხელისუფლებას, რომელმაც დააპატიმრა ჩემი ოჯახის წევრი და უკანონოდ ამყოფა ციხეში. ჩემი ოჯახის წევრის მსგავსად, თქვენ 9 წლის განმავლობაში 300 ათასი ადამიანი გაასამართლეთ, თქვენი რეჟიმი იყო რაღაც ნეოფაშისტური წარმონაქმნი,“ - თქვა ღარიბაშვილმა.

მოგვიანებით, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ საპარლამენტო უმრავლესობასთან გამართული შეხვედრა დაძაბულობას სრულიად მოკლებული გახლდათ. თანამოაზრეებთან საუბრისას ღარიბაშვილმა უმცირესობასთან დებატებიც შეაფასა. ღარიბაშვილის თქმით, საპარლამენტო უმცირესობასთან იმ განწყობით არ მისულა, რომ ასეთი მწვავე დებატები ჰქონოდა. **„მაგრამ, ვაღიარებ, ეს იყო მოსალოდნელი და მინდა გითხართ, რომ ამისთვის მომზადებული ვიყავი,“** -აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, სამწუხაროა, რომ საპარლამენტო უმცირესობა რიტორიკას არ ცვლის. **„მე მინდა შეგახსენოთ, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს აქვს სურვილი და ჩვენი გრძელვადიანი გეგმაც ასეთი უნდა იყოს, რომ საზოგადოება არ დაიყოს ჩვენიანებად და სხვისიანებად. ბატონ ბიძინას სურდა საზოგადოების გამთლიანება და მან ეს შეძლო. მაგრამ, ეს ადამიანები, ვგულისხმობ საპარლამენტო უმცირესობას, გვაჩვენებენ, რომ მათ არ სურთ მონაწილეობა მიიღონ ჯანსაღ პროცესში. მიუხედავად ჩვენი მრავალგზის მოწოდებისა, ისინი გამხდარიყვნენ კონსტრუქციულები და ჯანსაღი ოპონირება გაეწიათ ჩვენთვის, სამწუხაროდ და საუბედუროდ მათ ეს რიტორიკა არ შეიცვალეს,“**- განაცხადა ღარიბაშვილმა.

უმრავლესობის წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გარდა, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა პროკურატურაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ საუბრისას აღნიშნა, რომ ყოველივეს იმედიანად უყურებს და დარწმუნებულია, რომ ახალი გუნდის პირობებში ყველა საქმე სათანადო მტკიცებულებებით იქნება გამყარებული.

„განვიცდიდი, როცა სასამართლოში გაგზავნილ საქმეებთან დაკავშირებით ირკვეოდა, რომ ობიექტურად თუ არაობიექტურად იყო სუსტი, მტკიცებულებები აკლდა და ასე შემდეგ. ყველა საქმე, რომელზეც ძიება მიდის, გამყარებული უნდა იყოს მტკიცებულებებით. ძალიან დიდი რწმენით ვუყურებ პროკურატურაში განხორციელებულ ცვლილებებს. მჯერა, რომ ახალი გუნდი შეძლებს ეფექტურ მუშაობას და ყველა იმ მტკიცებულების მოგროვებას, რომელიც ამა თუ იმ საქმის უტყუარობას დაადასტურებს,“ - განაცხადა ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ **„ყველა მძიმე საქმე იქნება გამოძიებული და ბოლომდე მიყვანილი“.**

დღის ბოლოს ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში გამართულ სამთავრობო პროგრამის პრეზენტაციასა და დეპუტატებთან შეხვედრებს ნაყოფიერი უწოდა. ღარიბაშვილის თქმით, შეხვედრებმა ყველაფერი ნათელი გახადა და ყველამ თავისი სახე წარმოაჩინა.

„მე ვიტყოდი, რომ ემოციურად დატვირთული დღე იყო. ძალიან საინტერესო საუბარი გვქონდა. ასევე ცხარე დებატები უმცირესობასთან, მაგრამ ყველამ თავისი სახე წარმოაჩინა. კიდევ ერთხელ დაადასტურეს, ვის რა პოლიტიკის წარმართვა სურს. უმრავლესობასთან შეხვედრა ჩვეულებრივი და კონსტრუქციული იყო კითხვა პასუხის რეჟიმში. საკმაოდ ნაყოფიერი დღე იყო,“ - ამბობს ღარიბაშვილი.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობას პარლამენტი კენჭს დღეს უყრის.

საკუთარი ინფორმაცია

ანგელა მერკელი რუსეთს აფრთხილებს

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი რუსეთს აფრთხილებს, თავი შეიკავოს საქართველოზე, უკრაინასა და მოლდოვაზე ზეწოლისგან. მისივე თქმით, ამ სახელმწიფოებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, რამდენად მჭიდროდ უნდათ ევროკავშირთან დაახლოება.

„სახელმწიფოებმა თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთი განვითარების მომავალ მიმართულებაზე. მესამე პირებს ამაზე ვეტოს უფლება არ აქვთ,“ - განაცხადა გერმანიის კანცლერმა.

მისივე თქმით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები მოსკოვის მხრიდან ზეწოლის გამო ევროკავშირთან დაახლოების საკითხში სირთულეებს აწყდებიან.

„ვილნიუსის სამიტზე გამოვალ მოწოდებით, რომ ევროკავშირი წინ აღუდგეს ამ ზეწოლას კონკრეტული შანსებითა და სოლიდარობით, იქნება ეს პროდუქციის ევროპულ ბაზარზე გატანა, რომელიც რუსულ ბაზარზე აკრძალულია, თუ ენერგომომარაგების სისტემის შემუშავებაში დახმარება,“ - აღნიშნა ანგელა მერკელმა.

როგორც გერმანიის კანცელერმა განაცხადა, ვლადიმირ პუტინთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ დაარწმუნა რუსეთის პრეზიდენტი, რომ ევროკავშირთან მოლდოვას, უკრაინისა და საქართველოს ძლიერი კონტაქტები რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

ანგელა მერკელის ბუნდესტაგში გამოსვლის შესახებ ინფორმაციას გერმანული მედია ავრცელებს.

კოტე კუბლაშვილი მოსამართლეთა არჩევნების შედეგით უკმაყოფილოა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მოსამართლეთა არჩევისას დაფიქსირებული შედეგით უკმაყოფილოა და ეჭვობს, რომ აღნიშნულის გამო საქმეების განხილვა გაჭიანურდება.

როგორც კუბლაშვილმა საბჭოს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა, დღეისთვის მათ, სულ მცირე, 20 ახალი მოსამართლე ესაჭიროებათ, საქმეთა რაოდენობიდან გამომდინარე.

„დღეს ფარული კენჭისყრა გაიმართა. მოსამართლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ჩვენ 59 კანდიდატი გვყავდა, თუმცა აქედან მოსამართლედ არჩეულ იქნა მხოლოდ 12. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ დღეისთვის ჩვენი საჭიროება, საქმეთა რაოდენობიდან გამომდინარე, არის, სულ მცირე, 20 ახალი მოსამართლე. სამწუხაროდ, მივიღეთ შედეგი, როცა დაინიშნა მხოლოდ 12 ახალი მოსამართლე და ჩვენი საჭიროებიდან გამომდინარე, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის ძალიან ცუდი შედეგი - არა უბრალოდ ცუდი, არამედ ძალიან ცუდი შედეგი,“ - განაცხადა კოტე კუბლაშვილმა.

მისივე განმარტებით, აღნიშნული შედეგი სასამართლო სისტემისთვის არ არის მისაღები, ვინაიდან არსებობს შესაძლებლობა, რომ საქმეების განხილვა გაჭიანურდეს.

„შედეგი არავის აკმაყოფილებს. სასამართლო სისტემისთვის ეს მისაღები არ არის, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მოსამართლეების არჩევა კანონის მიხედვით მოხდა, ჩვენ გვეყოლება მხოლოდ 12 ახალი მოსამართლე და შევეცდებით, ისინი გადავანაწილოთ იქ, სადაც მეტი საჭიროებაა. ეს მძიმე შედეგს გამოიღებს იმ კუთხით, რომ შეიძლება, საქმეები გაიწელოს და კანონით დათქმულ ვადებში ვეღარ იქნას განხილული, ვინაიდან რაოდენობრივად მოსამართლე ძალიან ცოტაა,“ - აღნიშნა კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეფასებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მხრიდან უფრო მეტი პასუხისმგებლობა იყო საჭირო, რათა სასამართლო სისტემა აღნიშნული „მძიმე შედეგის პირისპირ არ აღმოჩენილიყო“. კოტე კუბლაშვილი ეჭვობს, რომ მოსამართლეობის წარდგენილი 59 კანდიდატიდან უმეტესობას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებმა არ დაუჭირეს მხარი.

„პირადად მე შემიძლია, დაგიდასტუროთ, რომ 40-მდე კანდიდატს მივეცი ხმა. ვვარაუდობთ, რომ, დაახლოებით, იგივე გააკეთეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებმაც,“ - დასძინა კუბლაშვილმა.

შეწყალების კომისიის შემადგენლობა შეიცვლება

ამის შესახებ შეწყალების კომისიის ახლანდელმა თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა. მისი თქმით, სურვილი აქვს, კომისიაში დარჩეს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ კომისიის თავმჯდომარედ აღარ იმუშაოს. თევდორაძის თქმით, ჯერჯერობით ახალ პრეზიდენტს შეწყალების კომისიის შესახებ დებულება არ შეუმუშავებია, რის გამოც 23 ნოემბერს - გიორგობის დღესასწაულზე პატიმართა შეწყალება არ მოხდება.

მიუხედავად ამისა, ელენე თევდორაძის თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეწყალების მთხოვნელთა განცხადებები მაინც შედის და ამ დრომდე 200-მდე პატიმრის განცხადებაა შესული.

„შესაძლოა, ახალმა პრეზიდენტმა თქვას, ეს ყველაფერი არ მაინტერესებს, ახალი ფურცლიდან ვიწყებო, რადგან ყველა განცხადება დაწერილია სააკაშვილის სახელზე. დარწმუნებული ვარ, შეწყალების კომისიის შემადგენლობა შეიცვლება. არ ვიცი, დავრჩები თუ არა მე თვითონ, მაგრამ რომ შეიცვლება, ამაში ეჭვი არ მეპარება, რადგან კომისიის შემადგენლობაში, ძირითადად, სააკაშვილის მრჩევლები იყვნენ, მათ შორის ვან ბაიბურთი, გიორგი გოდაბრელიძე, ნინო კალანდაძე, ანჯაფარიძე და ასე შემდეგ,“ - განაცხადა ელენე თევდორაძემ.

ამასთან, თევდორაძის თქმით, ჯერ კიდევ არსებულ შეწყალების კომისიაში არიან პირები, რომლებიც 2005 წლიდან მუშაობენ კომისიაში, მათ შორის: ლაშა ბუღაძე, მამუკა ფაჩუაშვილი და ასე შემდეგ.

„როდესაც პრეზიდენტი ნიშნავს შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს, ეს ძალიან დიდი ნდობაა. თუ ჩემი სურვილი გაინტერესებთ, კომისიის თავმჯდომარეობის სურვილი მაქვს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. თუკი თავმჯდომარე აღარ ვიქნები, ალბათ, პენსიაზე გავალ. ახალმა პრეზიდენტმა ახალი დებულება უნდა შეიმუშაოს, რის საფუძველზეც შემდეგ კომისია იმუშავებს. დებულებაში დამატებით იქნება შეტანილი კომისიის შემადგენლობაც. აქამდე არსებული დებულებით, წელინადში სავალდებულო იყო 2 სხდომის ჩატარება და დამატებით კიდევ შეიძლებოდა გაგვემართა კომისიის სხდომა. შევარდნაძის დროს, კომისიის თავმჯდომარე როდესაც მიიჩნევდა, რომ საკმარისი საქმეები იყო შემოსული განსახილველად, მაშინ ნიშნავდა სხდომას. მე ეს უფრო მომწონდა,“ - განაცხადა თევდორაძემ.

მისი თქმით, გამორიცხული არ არის, რომ გიორგი მარგველაშვილმა ის პატიმრები, რომლებსაც შეწყალების კომისიაში განცხადებები უკვე შეტანილი აქვთ, ახალი კომისიის ფორმირების შემდეგ საახალწლოდ შეიწყალოს.

ირანი დასავლეთს: ზედმეტ მოთხოვნებს ნუ წამოგვიყენებთ

ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ ბირთვული მოლაპარაკებების წინ დასავლეთი გააფრთხილა, რომ ირანისათვის ზედმეტი მოთხოვნების წამოყენება არ სცადონ. ქვეყნის მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე პრეზიდენტის ფრაზაა მოყვანილი, რომელიც როუჰანიმ თავის რუს კოლეგა ვლადიმირ პუტინს უთხრა - მსგავსი მოთხოვნები შეთანხმების მიღწევას მხოლოდ გაართულებს. ირანი და ე.წ „ექვსეული“ (გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი და გერმანია) ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებებს ოთხშაბათს ჟენევაში განაახლებენ. „ბი-ბი-სი“-ს ცნობით, ირანის მთავარმა დიპლომატმა მოჰამედ ჯავად ზარიფმა აღნიშნა, რომ აქამდე გამართული ბირთვული მოლაპარაკებების წარუმატებლობაში დამნაშავენი დასავლეთის ქვეყნები არიან. დასავლეთი შიშობს, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს, ირანი ამას კატეგორიულად უარყოფს. ირანის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმაც უკვე რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ირანის მიზანს ბირთვული იარაღის შექმნა არ წარმოადგენს.

ინდონეზიამ ავსტრალიიდან ელჩი გაიწვია

ორშაბათს ინდოენეზიამ ავსტრალიიდან საკუთარი ელჩი გაიწვია. აღნიშნულს წინ უძღოდა ედვარდ სნოუდენის მიერ „გარდიანში“ გამოქვეყნებული ახალი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ავსტრალია ინდონეზიის პრეზიდენტისა და მისი უშუალო გარემოცვის მოსმენას ცდილობდა. ინდონეზიის პრეზიდენტ სუსილო ბამბანგ იუდიონოს წარმომადგენელ ტეუკუ ფაიზასიაჰის თქმით: „მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად ავსტრალიამ გავრცელებული ინფორმაცია უნდა განმარტოს.“ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის, 30 წლის ედვარდ სნოუდენის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესახებ ავსტრალიის პრემიერმა ტონი ებოტმა აღნიშნა: „ინფორმაციას ყველა მთავრობა აგროვებს და ყველა მთავრობამ იცის, რომ სხვა მთავრობები ამას აკეთებენ.“

კაიროში უსაფრთხოების ძალების წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლა გაიმართა

ორშაბათს კაიროში, თაჰრირის მოედანზე, ქვეყნის უსაფრთხოების ძალების წინააღმდეგ გამართულ მსვლელობაში ათას ადამიანზე მეტმა მიიღო მონაწილეობა. „როიტერის“ ინფორმაციით, უფრო მრავალრიცხოვანი მსვლელობის გამართვა სამშაბათს საღამოს იყო დაგეგმილი. ივლისში არმიის მიერ მოქმედ პრეზიდენტ მოჰამედ მურსის გადაყენების შემდეგ ქვეყანაში მისი მხარდამჭერების გამოსვლები დაიწყო. დემონსტრანტებსა და უსაფრთხოების ძალებს შორის დაპირისპირებას კი ასობით ადამიანი ემსხვერპლა. ორშაბათს გამართული დემონსტრაციისას გენერალ აბდელ ფატაჰ ალ-სისის წინააღმდეგ შეძახილები ისმოდა: „სისი, არც იოცნებო პრეზიდენტობაზე“ - ყვიროდნენ დემონსტრანტები. სისის პოპულარობა ქვეყანაში მურსის გადაყენების შემდეგ მნიშვნელვნად გაიზარდა და ბევრი ფიქრობს, რომ მომავალ წელს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში მას გამარჯვებაც შეუძლია.

ამერიკა თურქეთში „პეტრიოტებს“ კიდევ ერთი წლით ტოვებს

ორშაბათს ამერიკის თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა განაცხადა, რომ ამერიკა თურქეთში „პეტრიოტის“ ტიპის რაკეტების შენარჩუნებას კიდევ ერთი წლით აპირებს. გასულ კვირას ნატოს გადაწყვეტილება გახდა ცნობილი, რომელიც თურქეთში ამ რაკეტების დატოვებას უჭერდა მხარს. თურქეთს „პეტრიოტები“ სირიის სამოქალაქო ომისგან თავის დასაცავად სჭირდება. „ამერიკამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თურქეთის თხოვნით და ნატოს ხელმძღვანელობით „პეტრიოტები“ კიდევ ერთი წლის განმავლობაში დარჩეს ამ ქვეყანაში,“ - საუბარია პენტაგონის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ამერიკის გარდა, თურქეთს „პეტრიოტები“ გერმანიამ და ნიდერლანდებმაც მიაწოდა. ამ ქვეყნების პარლამენტები რაკეტების თურქეთში დარჩენის შესახებ გადაწყვეტილებას მალე მიიღებენ. შარშან და წელსაც სირიის მხრიდან თურქეთის ტერიტორიაზე ჭურვის ჩამოვარდნის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა. ამის შემდეგ თურქეთმა ნატოს „პეტრიოტებით“ დახმარება სთხოვა.

იტალია: მიგრანტებს შორის შესაძლოა, „ალ ქაიდას“ წევრებიც არიან

ათასობით მიგრანტს შორის, რომლებიც აფრიკიდან ნავებით ევროპაში გადადიან, შესაძლოა, „ალ ქაიდას“ წევრებიც არიან, რაც ევროკავშირისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს. ამის შესახებ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ემა ბონინომ ორშაბათს განაცხადა. „ჩვენ გარკვეული ეჭვები გაგვაჩნია, რომ მიგრანტებს შორის შეესაძლოა, ჯიჰადისტები და «ალ ქაიდას» წევრებიც არიან,“ - განაცხადა ბონინომ ბრიუსელში ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრისას. „როიტერის“ ცნობით, მხოლოდ ამ წელს აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან იტალიასა და მალტაში 32 000 მიგრანტი შევიდა. ევროკავშირი სამხრეთ ევროპის ქვეყნებში მასობრივი მიგრაციის პრობლემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას დეკემბერში გეგმავს.

მოამზადა თამთა კახაძემ

ყაზანის ავიაკატასტროფის შესახებ წინასწარი დასკვნა გამოქვეყნდა

ივა შილაკაძე

ყაზანის აეროპორტში კვირას ჩამოვარდნილი „ბოინგ-737“ კატასტროფის მიზეზების შესახებ შესაბამისმა ორგანოებმა გუშინ, საღამოსთვის, უკვე წინასწარი დასკვნა გამოაქვეყნეს, თუმცა საბოლოო ანგარიშის მომზადებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო გავა. ამ ეტაპზე მინიშნება პილოტების შეცდომაზე კეთდება. გუშინდელ ნომერში ჩვენ უკვე ვწერდით, რომ კატასტროფას 50 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათგან 44 მგზავრი იყო და 6 - ეკიპაჟის წევრი. ავიალაინერის ბორტზე მყოფთაგან არავინ გადარჩენილა.

ორშაბათს ღამითვე იპოვეს საბორტო თვითჩამწერები (ე.წ. „შავი ყუთები“) და ისინი სასწრაფოდ მოსკოვის ლაბორატორიაში გადაიტანეს. თუმცა უკვე გახსნისას აღმოჩნდა, რომ ხმოვანი ყუთი ცარიელი იყო. სპეციალისტების ვარაუდით, შესაძლოა, ავარიისას კასეტები ყუთიდან ამოცვივდა და კატასტროფის ადგილას მათი ძებნა გრძელდება. აეროპორტიდან ამოღებულია ყველა ვიდეოჩანაწერი, დისპეტჩერების საუბრების ჩანაწერები და სხვა საჭირო მონაცემები. საწვავის ნიმუშები აღებულია როგორც კატასტროფის ადგილას, ასევე მოსკოვის აეროპორტ „დომოდედოვოში“, საიდანაც თვითმფრინავი აფრინდა.

უკვე ზუსტად დადგენილია, რომ თვითმფრინავის ძრავები ბოლო წამამდე - მიწასთან შეჯახებამდე მუშაობდა. ერთ-ერთი ძრავა საერთოდ მიწიდან ამოთხარეს. სხვა სისტემების მწყობრიდან გამოსვლაც არ ფიქსირდება. ეკიპაჟმა დაშვებამდე ცოტა ხნით ადრე შეამჩნია, რომ თვითმფრინავი კარგად ვერ შედიოდა ზოლზე, ამიტომ სიმაღლის აღება და ხელმეორედ შესვლა გადაწყვიტა. ერთ-ერთი ავტოპილოტი გამორთული იყო და თვითმფრინავს მექანიკურ რეჟიმში სვამდნენ. როცა სიჩქარე საათში 225 კილომეტრი იყო, პილოტებმა შტურვალის მოძრაობით თვითმფრინავი მიწისკენ მიმართეს. „ბოინგმა“ მკვეთრად დაშვება დაიწყო და მისი სიჩქარეც გაიზარდა. ის მიწას დაეჯახა 450 კილომეტრით საათში, თითქმის სწორი კუთხით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითმფრინავმა სიმაღლის ხელახლა აღება ვერ შეძლო.

გუშინ სხვა დეტალებიც გახდა ცნობილი. პილოტებს დიდი ხნის მუშაობის გამოცდილება ჰქონიათ, მეთაურს და მეორე პილოტს, შესაბამისად, 21 და 23 წელი უფრენიათ ანუ, როგორც ავიაციაში თვლიან, 2,5 ათასი საათი და 1,9 ათასი საათი (შესაბამისად). ოღონდ გაირკვა, რომ აქამდე ერთი შტურმანად მუშაობდა, მეორე - ბორტინჟინრად. შესაბამისი გადამზადების შემდეგ კი პილოტის რანგში შტურვალს ორიოდე წლის წინ მიუსხდნენ. გაირკვა ისიც, რომ აქამდე მათ რეალური ფრენისას არასდროს დასჭირვებიათ მეორე ცდაზე წასვლა და ამ მანევრს პირველად ასრულებდნენ. ცხადია, ყველაფერი დამუშავებული ჰქონდათ ტრენაჟორებზე. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ეს თავისთავად არაფერს ნიშნავს და პილოტების კომპეტენციაზე მხოლოდ ამით უარყოფით დასკვნას ვერავინ გააკეთებს. ეს უფრო სხვა რამეზე მოუთითებს - კერძოდ, ავიაკომპანია „ტატარსტანში“ არსებულ ცუდ მდგომარეობაზე. ამ კომპანიას 2007 წელს ევროკავშირმაც „მიუხურა კარები“. დადასტურდა ისიც, რომ მათ დავალიანებაც ჰქონდათ - დაახლოებით, 80 მილიონი დოლარის ოდენობით და ეკონომიას ყველაფერზე ეწეოდნენ.

საავიაციო უსაფრთხოების დამოუკიდებელი სპეციალისტები აცხადებენ, რომ პილოტების შეცდომა შეიძლება, დადასტურდეს, საერთაშორისო საავიაციო კომიტეტის მონაცემები ამაზე მეტყველებს, მაგრამ პრობლემას ასე „ვიწროდ“ არ უნდა შევხედოთ. საერთაშორისო კანონით, საავიაციო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოა, რუსეთში კი ეს საქმე ოთხ ორგანოზეა „გადანაწილებული“ და რეალურად ვერავინ ვერაფერზე აგებს პასუხს. პრეზიდენტსა და პრემიერზე ამ პასუხისმგებლობის დაკისრება კი არასწორია. მფრინავი გამომცდელი და საავიაციო კატასტროფების გამოძიების სპეციალისტი ვლადიმირ გერასიმოვი მიიჩნევს, რომ „ადამიანს აქვს შეცდომის უფლება, ეს ფიზიკურადაც და მორალურადაც დასაშვებია, მაგრამ თუ ახლა ყველაფერს ეკიპაჟს „ავკიდებთ“, შეგვიძლია, ველოდოთ ეკიპაჟის სხვა შეცდომას, შემდეგ კატასტროფებს და შემდგომ არაერთ წუთიერ დუმილს. ამ ყველაფრიდან დასაკვნების გამოტანაა საჭირო!“

ყაზანში კი სასამართლო სამედიცინო ექსპერიზის მიერ პირობით ამოცნობილად ჯერჯერობით 15 ცხედარი მიიჩნევა. საბოლოოდ ალბათ „დნმ“-ის ანალიზების გაკეთება გახდება საჭირო.

უკრაინას ევროინტეგრაციისკენ ნაბიჯის გადადგმა უჭირს

პირველი გვერდიდან

მინისტერიალის შემდეგ ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე სახელმწიფოს - ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკიავიჩუსმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება, როგორც მოსალოდნელი იყო, არ მიიღეს და უკრაინისთვის კარი კვლავ ღია რჩება. სრულიად შესაძლებელია, რომ ყველაფერი ვილნიუსში, უშუალოდ სამიტზე გადაწყდეს, სადაც ქვეყნების პრეზიდენტებიც, პრემიერ-მინისტრებიც და საგარეო საქმეთა მინისტრებიც იქნებიან. ლინკიავიჩუსმა იმედი გამოთქვა, რომ უკრაინელები ვალდებულებებს შეასრულებენ, რისი პირობაც დასავლელი პარტნიორებისთვის მიცემული აქვთ. სხდომის შემდეგ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვიდო ვესტერველემ არ ისურვა პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რა შანსები აქვს ხელშეკრულებების ხელმოწერას ვილნიუსში. მისი აზრით, ბოლო ათი დღე ძალიან მნიშვნელოვანია და წინასწარ განცხადებების გაკეთება სპეკულაცია იქნება.

ორშაბათსვე, გვიან საღამოს, ამ თემას საგარეო ურთიერთობებსა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისრის კეტრინ ეშტონის წარმომადგენელი მაია კოსიანჩიჩი შეეხო. მის სიტყვებითაც, საკითხი ღიად რჩება, თუმცა შედეგის მიღწევა ნამდვილად შეიძლება ვილნიუსის სამიტამდე. მან თქვა, რომ უკიდურეს შემთხვევაში, ხელმოწერა შეიძლება შედგეს არა მხოლოდ «აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ჩარჩოებში, არამედ ცალკეც, მოგვიანებით. კოსიანჩიჩის სიტყვებით, ახლა ყველაფერი უკრაინაზეა დამოკიდებული. მანვე სპეკულაცია უწოდა მედიაში გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ვილნიუსში ხელმოწერა შეიძლება შედგეს კიდეც, თუმცა შემდეგ ევროკავშირის სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცესი გაიწელოს.

ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ ტექნიკურად ესეც ერთ-ერთი გამოსავალია, თუმცა მას შეიძლება, ევროკავშირმა მხოლოდ გარკვეულ პირობებში მიმართოს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა პარლამენტში შესაბამის კანონს მიიღებს, მას იანუკოვიჩიც ხელს მოაწერს, მაგრამ სამიტისთვის იურიდიული პროცედურები ვეღარ მოესწრება და ტიმოშენკო ჯერ არ იქნება გადაყვანილი ბერლინში სამკურნალოდ.

ის, რომ საკითხის გადაწყვეტა ჭიანურდება, გუშინ კიდევ ერთხელ დადასტურდა. უკრაინის უმაღლეს რადაში კვლავ ჩავარდა «ტიმოშენკოს კანონპროექტების“ განხილვა და ის 21 ნოემბრის სხდომისთვის გადაიდო. სამშაბათს, დილას, სხდომა გაიხსნა და დეპუტატებმა ვერ დაამტკიცეს დღის წესრიგი მთელი მომავალი კვირისთვის. ამას, სულ რაღაც, 10 ხმა დააკლდა. შესაბამისად, ტიმოშენკოს კანონპროექტების განხილვა ჩავარდა და რადა უკვე ნახევრად მიღებული კანონების მეორე მოსმენით განხილვაზე გადავიდა. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ამ ჩავარდნას ერთმანეთს აბრალებდა. დღის პირველ ნახევარშივე გაიმართა ფრაქციების ხელმძღვანელების შეხვედრა პარლამენტის სპიკერ ვლადიმირ რიბაკთან, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა გამოაცხადა, რომ შეთანხმებას მიაღწიეს და ხუთშაბათს, დილის სხდომაზე, პირველ რიგში, «ტიმოშენკოს კანონპროექტებს» განიხილავენ. მოგვიანებით ცნობილი გახდა ისიც, რომ მხოლოდ დღის წესრიგისთვის ხმის მიცემაში არ ყოფილა საქმე. სპეციალურ ინტერფრაქციულ ჯგუფს ორშაბათს ვერ დაუმთავრებია მუშაობა დოკუმენტის ტექსტზე. სერიოზული საკითხებიდან მხარეები მხოლოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ სამკურნალოდ გაშვებულ პატიმარს მკურნალობის პერიოდი სასჯელის მოხდის ვადაში არ ჩაეთვლება და მკურნალობის ხარჯებსაც თვითონ დაფარავს. თუმცა თვით ამ შემათანხმებელი ჯგუფის წევრები ოპოზიციის და მმართველი პარტიის მხრიდან ბრალს ისევ ერთმანეთს უყენებენ. ოპოზიცია აცხადებს, რომ დღის პირველ ნახევარში აქტიურად და ნაყოფიერად იმუშავეს, მთელი რიგი საკითხები შეათანხმეს, თუმცა როგორც კი «რეგიონალებმა» დაინახეს, რომ ოპოზიცია ყველაფერზე თანხმდება, ოღონდ კი დოკუმენტი მალე იყოს მზად, ისევ დროის გაყვანა დაიწყეს. მმართველი პარტიის წარმომადგენლების თანახმად, ჯერ კიდევ ბევრი დეტალია დასაზუსტებელი და ოპოზიცია ტყუილად აცხადებს, რომ ხელისუფლების თითქმის ყველა მოთხოვნა უკვე თვითონ გაითვალისწინეს წარმოდგენილ კანონპროექტში. მოკლედ, რჩება მხოლოდ იმედი, რომ ხუთშაბათამდე ტექსტს შეათანხმებენ, თუმცა ეს არ არის დოკუმენტის მიღების გარანტია. ამას იანუკოვიჩის დირექტივაც სჭირდება.

გუშინ უკრაინის უმაღლეს რადაში დილიდანვე იმყოფებოდა ევროკომისარი გაფართოების საკითხებში შეფან ფიულე. შემდეგ კიევში ჩავიდნენ აგრეთვე ევროპარლამენტის მისიის ხელმძღვანელები ალექსანდრ კვასნევსკი და პეტ კოკსი. მათი მუშაობის ოფიციალური პროგრამა არ გამოქვეყნებულა, ითქვა მხოლოდ ის, რომ «ევროპელი ემისრები» ყველა დაინტერესებულ მხარეს შეხვდებიან. შეხვედრების შინაარსი კი ისედაც ყველასთვის ცხადია.

როგორც ჩანს, შეხვედრებზე ძალიან სერიოზული ვაჭრობა მიდის. ევროპარლამენტის პოლონელმა დეპუტატმა რიშარდ ჩარნეცკიმ მედიაში გაახმოვანა პოზიცია, რომელიც ძალიან ჰგავს იანუკოვიჩის გუნდთან შეთანხმებულს. მან აღიარა, რომ არაპოპულარულ პოზიციაზე დგას, თუმცა განაცხადა, რომ უკრაინის ევროინტეგრაცია ევროკავშირის, ვაშინგტონის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიციაზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე უკრაინის მიერ «ტიმოშენკოს საკითხის» გადაწყვეტაზე. მოკლედ, მისი თვალთახედვის თანახმად, უკრაინის მმართველ გუნდს თავისთვის წამგებიანი ნაბიჯის გადადგმა და რუსეთის ეკონომიკური ზეწოლისგან თავდასაცავად გარკვეული ფინანსური გარანტიების მიღების გარეშე ევროპისკენ სვლა უჭირს.

სამშაბათსვე აშშ-ს სენატმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც უკრაინას მოუწოდა, იულია ტიმოშენკო გაათავისუფლოს და ევროპისა და დასავლეთისაკენ სვლა განაგრძოს. ამერიკელი სენატორების აზრით, პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულება «უსარგებლოდ» უშლის ხელს უკრაინის «ღრმა» კავშირებს ევროპასთან, შეერთებულ შტატებთან და მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებასთან.

რეალური ფოტოგრაფია

პირველი გვერდიდან

სწორედ ამ კომპონენტების ერთობლიობა სჭირდება კონკურსანტს, რომელიც სულ მალე ონლაინ რეალურ შოუ „ფოტომანის“ მონაწილე გახდება.

საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული კონკურსი წელს ოთხი წლის ხდება, საერთაშორისოს სტატუსს კი პირველად იძენს. სამი წლის განმავლობაში „ფოტომანი“ მხოლოდ საქართველოში მცხოვრები ფოტოგრაფებისთვის ტარდებოდა, ამჯერად კი ფოტომარათონში სომეხი, აზერბაიჯანელი, ბელორუსი, მოლდოველი და უკრაინელი ფოტოგრაფებიც ჩაერთვებიან. მეტიც, „ფოტომანი“ წელს ევროკავშირის პროექტის „გაიღიმეთ“ (Say Cheese) ფარგლებში იმართება, რაც მის ხარისხს უფრო ამყარებს.

„ფოტომანი“ არ გახლავთ სტანდარტული სქემის მქონე კონკურსი, რომელიც მხოლოდ ფოტოების მიღებასა და მათი ჟიურის წევრების მიერ გადარჩევა-შეფასებას ითვალისწინებს. ეს არის ტიპური რეალური შოუ არატიპური ფორმით: მას არ ჰყავს მაყურებელი და არც ფოტოების შექმნის პროცესს ვეცნობით, თუმცა ნებისმიერი მსურველი იღებს შეფასების უფლებას. პარალელურად კი ყველაზე საინტერესო ხდება: კონკურსანტები სპეციალურ გალერეაში განთავსებული ნამუშევრების პრომოუშენს ეწევიან, ყველანაირად ცდილობენ საზოგადოების ყურადღების მიქცევას, საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას ანუ იქცევიან ისე, როგორც პროფესიონალი ფოტოგრაფი მუშაობს. ეს კონკურსს მეტ სიცოცხლეს მატებს, კონკურსანტებსაც და მათ შემფასებლებსაც გამუდმებით პროცესში ამყოფებს, რადგან აქ ყოველი კომენტარი თუ ქულა წყვეტს, ფოტოგრაფი შემდეგ ეტაპზე გადავა თუ არა.

სამთვიან კონკურსს სულ ოთხი ეტაპი აქვს. ყოველი ეტაპის ბოლოს აუტსაიდერები პროექტს ტოვებენ. სწორედ აქ ერთვება საქმეში ჟიური, რომელსაც აქვს უფლება, ორი კონკურსანტი დატოვოს. ამავდროულად ყოველი ეტაპის წინ კონკურსანტები ახალ დავალებას მიიღებენ, თემას, რომლის გაშლაც ერთ ფოტოში მოუწევთ. ამისთვისაც მკაცრად განსაზღვრული დრო ეძლევათ - ზუსტად ისე, როგორც ეს პროფესიონალი ფოტოგრაფების შემთხვევაში, შეკვეთის მიღებისას ხდება. როგორც საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის წარმომადგენელი, კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ნინო მღებრიშვილი ამბობს, საქმიან გარემოში, ექსტრემალურ პირობებში, კონკრეტული თემის არსებობისას ფოტოგრაფის ოსტატობა და შესაძლებლობები საუკეთესოდ ვლინდება. გარდა ამისა, მათ აქვთ საშუალება საკუთარ პოტენციალში დარწმუნდნენ, გაიგონ, შეუძლიათ თუ არა კონკურენციის პირობებში მუშაობა, საკუთარი ნამუშევრის პოპულარიზაცია და პროდუქტის გაყიდვა. „ყველაზე მთავარი ისაა, რომ კონკურსში გამარჯვებას განაპირობებს არა ფეისბუქზე მიღებული მოწონებების რაოდენობა და ქულების საერთო ჯამი, არამედ თავად კონკურსანტის მონდომება და მზაობა გახდეს პროფესიონალი, რომელიც რეალურ პირობებში მუშაობს და, ამავდროულად, საკუთარ ოსტატობასაც ხვეწს“, - ამბობს ნინო მღებრიშვილი.

რა არის საჭირო „ფოტომანში“ მონაწილეობისთვის: პირველ რიგში ფოტოგრაფი facebook.com/photomann-ს უნდა ესტუმროს და იქ არსებული აპლიკაციის ფორმის მეშვეობით რეგისტრაცია გაიაროს. დარეგისტრირების პროცესი 1 ნოემბერს დაიწყო და ერთ თვეს გასტანს.

ნინო მღებრიშვილი: „ამჟამინდელი მონაცემებით დასტურდება, რომ წლევანდელ კონკურსს უპრეცენდენტოდ ბევრი კონკურსანტი ეყოლება. ამას, ცხადია, მისი საერთაშორისო სტატუსი განაპირობებს, ასევე კონკურსის ბეგრაუნდიც. დარეგისტრირების პროცესი აქტიურია სხვა ქვეყნებშიც, რაც იქ მოქმედი ფოტოგრაფების ასოციაციების მუშაობის დამსახურებაცაა“.

რეალურად „ფოტომანს“ 90 გამარჯვებული ეყოლება - ყველა ქვეყნიდან 15 მონაწილე, რომლებიც ავტომატურად მოიპოვებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის საერთაშორისო ონლაინ ფოტოსკოლა photoschool.eu-ში უფასოდ სწავლის უფლებას. თუმცა ეს ყველაფერი არ გახლავთ, რადგან, როგორც ყველა კონკურსს, „ფოტომანიასაც“ უნდა ჰყავდეს ერთი გამარჯვებული. მისთვის თბილისის მერიამ ყველა ფოტოგრაფისთვის სასურველი პრიზი - Canon 6D 24-105 მმ ობიექტივით დააწესა. ასევე კონკურსში მონაწილე ყველა ქვეყნის ფოტოგრაფთა ასოციაციას საკუთარი პრიზი აქვს დაწესებული.

2013 წლის ნოემბერი

Playstation 4 უკვე გამოვიდა, Xbox One სტარტზეა

ია ვეკუა

ჯერ ერთი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც გეიმერებმა ახალი თაობის კონსოლი, Playstation 4 მიიღეს, ორიოდე დღეში კი მსოფლიოს ახალი ვირუსი სახელად Xbox One მოედება. რეალურად სწორედ ამ დღეს გაიხსნება დიდი ხნის წინ დაწყებული კონსოლების ომის მორიგი ფრონტი, რომელიც იქამდე არ დასრულდება, ვიდრე მომხმარებელი საბოლოო ვერდიქტს არ გამოიტანს. რომელიმე კონსოლის გამარჯვებაში ლომის წილს თამაშების ავტორი კომპანიებიც შეიტანენ, მეტწილად მათი ექსკლუზივები, რაც დიდი ხანია ერთმნიშვნელოვნად Playstation-ის მთავარ კოზირად მიიჩნევა.

გეიმსამყაროსთვის 2013 წლის ნოემბერი კიდევ დიდხანს დარჩება ათვლის წერტილად, ზუსტად ისე, როგორც ეს წლების წინ იყო, როდესაც დახლებზე პრაქტიკულად ერთდროულად გამოჩნდა „სონისა“ და „მაიკროსოფტის“ ახალი თაობის კონსოლები. მას შემდეგ შვიდი წელი გავიდა, ამრიგად გასაკვირი არ გახლავთ, რომ გეიმერები ახალი კონსოლების მიმართ ასეთ ინტერესს იჩენენ.

გამოცდილი გეიმერები მიიჩნევენ, რომ ახალი თაობის კონსოლის ყიდვა მისი გამოსვლიდან საშუალოდ ნახევარი ან ერთი წლის შემდეგ სჯობს, რასაც ძალიან პრაგმატული მიზეზი გააჩნია: ძალიან ცოტა ახალი თამაშია გამოსული, ძველი თაობის კონსოლის თამაშები კი ჯერ კიდევ გამოდის. გარდა ამისა, ეს დრო საკმარისია იმისთვის, რომ კონსოლების გამომშვებმა კომპანიებმა მათში არსებული მცირედი ხარვეზები აღმოფხვრან, ხოლო ახალი პარტია უნაკლოდ გამოუშვან (გაიხსენეთ Playstation 3-ის პირველი, ე.წ. სქელი მოდელი, რომელიც ერთ საათში უმოწყალოდ ხურდებოდა და ისე იწვებოდა, ინტერქულერებიც კი ვერ შველოდა. სამაგიეროდ ეს ხარვეზი სრულიად აღმოიფხვრა „სლიმ“ მოდელში).

ერთი ასეთი ხარვეზის შესახებ უკვე საუბრობენ Playstation 4-ის მფლობელები და მას სახელიც უწოდეს - „სიკვდილის ლურჯი სხივი“ (დაახლოებით ასე ჰქვია PSP Vita-ს ხარვეზსაც - „სიკვდილის ლურჯი წერტილი“, ხოლო Xbox 360-ის „სიკვდილის წითელი რგოლი“ ალბათ დღემდე კოშმარად გესიზმრებათ). ეს ხარვეზი მაშინ იჩენს თავს, როდესაც კონსოლი „ფიქრობს“, რომ ტელევიზორთან კარგად არ არის დაკავშირებული, სინამდვილეში კი ყველაფერი რიგზეა. „სიკვდილის ლურჯ სხივს“ არც კონსოლის გადატვირთვა შველის და არც ტელევიზორთან დამაკავშირებელი კაბელის გამოცვლა. „სონის“ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამის მიზეზი შეიძლება ტელევიზორის გარკვეულ მოდელთან შეუთავსებლობა ან კვების ბლოკთან და მყარ დისკთან დაკავშირებული პრობლემები იყოს. თუ HDMI კაბელი წესრიგშია, ხოლო ტელევიზორი სწორი კონფიგურაციისაა, მაშინ მხოლოდ კონსოლის ბაზის განულება და მთელი სისტემის განახლებაა საჭირო. იმავე „სონის“ განცხადებით, მსგავსი წუნი ჯერჯერობით მხოლოდ კონსოლების საერთო რაოდენობის 0,4 პროცენტს აღმოაჩნდა, ამრიგად ნუ იტყვით უარს ამ შესანიშნავ სათამაშო დანადგარზე, მით უფრო, რომ წინ შესანიშნავი თამაშები გველის.

Killzone: Shadow Fall, Infamous: Second Son, The Order: 1886 და კიდევ რამდენიმე თამაში ‘სონიმ“ ჯერ კიდევ კონსოლის გამოსვლამდე, რამდენიმე თვის წინ დააანონსა, ბოლო დღეებში კი Playstation-ის ერთ-ერთი საუკეთესო ფრენჩაიზის, Unrcharted-ის მეოთხე ნაწილის თიზერი გამოჩნდა. მასში ბევრი არაფერი ჩანს, მაგრამ ერთი საინტერესო დეტალის დაჭერა მაინც შეიძლება: კადრს მიღმა თამაშის პერსონაჟის ხმა იმის, რომელსაც მსახიობი ტოდ სტაშვიკი ახმოვანებს და არა ნოლან ნორთი - ნათან დრეიკის გამხმოვანებელი ფრენჩაიზის წინა ნაწილებში. აქ ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება: თამაშის შემქმნელებმა ან ნოლან ნორთი შეცვალეს ან ნათან დრეიკი, რაც კომპანია Naughty Dog-ის ყველაზე სულელური გადაწყვეტილება იქნება. თუმცა არც წინასწარი დასკვნების გაკეთება იქნება სწორი, რადგან გარდა იმისა, რომ, შესაძლოა, სტაშვიკი სულ სხვა პერონაჟს ახმოვანებს, როდის ყოფილა, Naughty Dog-ს ცუდი პროდუქტი გამოეშვას...

სხვათა შორის, ამ კომპანიის წლევანდელი შედევრი The Last of Us უკვე წარდგენილია წლის თამაშის ნომინაციაზე (Spike VGX-ის ვერსიით), მისი კონკურენტები კი BioShock Infinite, Grand Theft Auto 5, Super Mario 3D World და Tomb Raider არიან. PS4-ის გამოსვლის პარალელურად ამ თამაშის პირველი დამატებაც დააანონსეს, რომელსაც Left Behind ჰქვია და პრიკველს წარმოადგენს. თამაშის სამართავი პროტაგონისტი ამჯერად ელი იქნება, ხოლო სიუჟეტი იმ დროის გარშემო იშლება, ვიდრე გოგონა ჯოელს შეხვდებოდა და მასთან ერთად The Last of Us-ის სამყაროში დაიწყებდა მოგზაურობას. Left Behind სავარაუდოდ 2014 წლის დასაწყისში გამოვა, ამ დროისთვის კი ყველაფერს თავისი სახელი ექნება დარქმეული და საბოლოოდ გაირკვევა - Playstation მოერევა თუ Xbox.

სააკაშვილი: „ივანიშვილი ციხეში ან დევნილობაში მხედავს„

„ნიუ იორკ თაიმსი“ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ჩაწერილ ინტერვიუს აქვეყნებს. როგორც გამოცემა მიუთითებს, სააკაშვილთან საუბარი იმ დროს შედგა, როდესაც მას ჯერ კიდევ პრეზიდენტის პოსტი ეკავა.

ინტერვიუს ერთ-ერთი ცენტრალური თემა სააკაშვილის შესაძლო დაპატიმრებაა. მიხეილ სააკაშვილი ასევე აფასებს საქართველოს მოქმედი მთავრობის საქმიანობას და საერთაშორისო ურთიერთობებზე ამახვილებს ყურადღებას.

ექს-პრეზიდენტის შეფასებით, შეერთებულმა შტატებმა პრეზიდენტ პუტინთან სისუსტე გამოავლინა იმით, რომ სირიის მიმართ სამხედრო მუქარა არ განახორციელა. **„ამერიკას სირიაში შეზღუდული ოპერაცია მაინც რომ ჩაეტარებინა, ეს პუტინისთვის გარკვეულ რისკს შექმნიდა. ახლა პუტინი თითქმის დარწმუნებულია, რომ რაც არ უნდა გააკეთოს - გადაჭრას საქართველოს მილსადენი, დაიპყროს თბილისი, დაამხოს აზერბაიჯანის ხელისუფლება - არავინ არაფერს მოიმოქმედებს, გარდა რამდენიმე ხმამაღალი განცხადებისა და დაგმობისა. აი, რა გვესმის ჩვენი ვაშინგტონელი მეგობრებისგან - რომ თქვენ შესანიშნავი ბიჭები ხართ, მოგვწონხართ, შესანიშნავი გადასვლა იყო დემოკრატიაზე: ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა, დიდი მიღწევები და ასე შემდეგ. მაგრამ ახლა სხვა უამრავი საზრუნავი გვაქვს. მხარს გიჭერთ. მომავალშიც მხარს დაგიჭერთ. მაგრამ, განა რისი გაკეთება შეგვიძლია?“** - ამბობს სააკაშვილი.

„ნიუ იორკ თაიმსის“ ჟურნალისტის აზრით, ის, რომ ვაშინგტონი სამხრეთ კავკასიის მიმართ ინტერესს კარგავს, სადაც საქართველო ამერიკის ყველაზე ახლო მოკავშირეა, კიდევ ერთხელ გამოჩნდა კვირას, სააკაშვილის მემკვიდრის, უნივერსიტეტის რექტორისა და განათლების ყოფილი მინისტრის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციაზე. კონგრესმენთა დელეგაციის ნაცვლად, რომელსაც სათავეში ობამას კაბინეტის რომელიმე გამოჩენილი წევრი ჩაუდგებოდა, ადმინისტრაციამ საქართველოში უცნობი ჩინოვნიკების ჯგუფი გაგზავნა, USAID-ის დირექტორის რაჯივ შაჰის ხელმძღვანელობით.

გამოცემა მიუთითებს, რომ სააკაშვილი ინაუგურაციას არ დაესწრო მისი მთავრობის ბევრი ყოფილი წევრის დაპატიმრებისა და დევნის გამო, რომლებიც კურუფციაში, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში არიან ბრალდებულნი. როგორც მასალაშია ნათქვამი, ბევრი ასეთი დაპატიმრება პოლიტიკურად მოტივირებულს ჰგავს. „ნიუ იორკ თაიმსი“ იმასაც აღნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილის დაპატიმრებისა და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ალბათობა დაუშვა.

სააკაშვილმა ინტერვიუში თქვა, რომ დარწმუნებულია, სამიზნე გახდება და ამის მოლოდინიც აქვს. **„პრემიერ-მინისტრი ციხეში ან დევნილობაში მხედავს. შევეცდები, ვიბრძოლო იმისთვის, რომ მოვიპოვო თავისუფლება ჩემს საკუთარ ქვეყანაში,“** - ამბობს სააკაშვილი. ყოფილი პრეზიდენტი ელოდება, რომ ყველა ბრალდებაში, რომელსაც წაუყენებენ, მისი უდანაშაულობა დამტკიცდება, მაგრამ აღიარებს, რომ შესაძლებელია, ყველა შემთხვევაში დააპატიმრონ. **„უნდა ვიჯდე ერთი წლის განმავლობაში ერთკაციან უსარკმელო საკანში, სადაც მზის სხივი არ აღწევს, რადგან მან თქვა, რომ მე, შესაძლოა, ბავშვებს ვჭამ ცოცხლად ან უამრავი ადამიანი მოვკალი ქუჩაში? ასეთი პრობლემის წინაშე ვართ,“** - აღნიშნავს მიხეილ სააკაშვილი, - **...ჩვენ დავუბრუნდით ერთგვარ ველურ დასავლეთს, რაც დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა პოლიტიკისათვის.“**

სააკაშვილის თქმით, ის ძალიან ნანობს, რომ დასავლეთში სასწავლებლად უფრო მეტი ქართველი ახალგაზრდა არ გაგზავნა. **„როგორ ვისურვებდი, რომ თავდაცვაზე მილიარდით ნაკლები დაგვეხარჯა, განათლებაზე კი - მილიარდით მეტი. ეს გაცილებით სერიოზული თავდაცვა იქნებოდა, ვიდრე მთელი იმ შეიარაღების შეძენა, რომელიც მაინც უსარგებლოა, როდესაც საქმე რუსეთთან კონფრონტაციამდე მიდის. დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა ეს არის,“** - თქვა სააკაშვილმა.

ამერიკული გამოცემის შეფასებით, სააკაშვილი ივანიშვილზე ამრეზით ლაპარაკობს, რომელმაც განაცხადა, რომ ნოემბრის ბოლოს გადადგება და მას 31 წლის შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეცვლის.

მასალაში ისიც არის ნათქვამი, რომ კვირას ამოქმედებული საკონსტიტუციო ცვლილებები პრეზიდენტის უფლებამოსილებას ასუსტებს და პრემიერ-მინისტრისას აძლიერებს, რომლის ოფისიც ქვეყანაში ყველაზე ძლიერი იქნება. სააკაშვილი უარყოფს, რომ მან ამ ცვლილებებს მხარი პრემიერ-მინისტრად მოსვლის სურვილის გამო დაუჭირა - გზა, რომელსაც ვლადიმირ პუტინმა მიმართა. **„ეს მკითხეს ჯო ბაიდენმაც და ჰილარი კლინტონმაც. მათ არასდროს უთქვამთ, რომ მე პრემიერი არ უნდა გავმხდარიყავი, მაგრამ ამას ისე მეკითხებოდნენ, აშკარად წუხდნენ იმაზე, რომ ეს ყველაფერი შეიძლებოდა პუტინის ნაბიჯს დამსგავსებოდა. მაგრამ მე მათ ბევრჯერ ვუთხარი, რომ ამას არასდროს გავაკეთებდი,“** - თქვა სააკაშვილმა.

ინტერვიუში სააკაშვილმა ხელისუფლების არჩევნების გზით გადაცემის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. ამასთან, ყოფილი პრეზიდენტის თქმით, კიდევ ერთი გაკვეთილი უნდა იყოს ის, რომ მისი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრობა“ ხელისუფლებაში შემდეგი არჩევნებით დაბრუნდეს, განსხვავებით საქართველოში ყველა სხვა წინამორბედი დამხობილი პარტიებისგან, რომლებიც სწრაფად გაუჩინარდნენ.

სააკაშვილი მემკვიდრეებს ურჩევს, რომ სამი რამ გაითვალისწინონ: ცვლილებები ინსტიტუტებისა და საარჩევნო ურნების გზით უნდა ხორციელდებოდეს, ყველაფერს თავისი ფასი აქვს და რუსეთი არც ერთ ვითარებაში ტკბილად არ წარმოჩინდება.

საკუთარი ინფორმაცია

რატომ უარყოფს ბრალდება „დენსუსის„ ექსპერტიზას?

პირველი გვერდიდან

ამით გარკვეულ პოპულიზმს ჰქონდა ადგილი. ეს იყო განკუთვნილი იმის დასადგენად, თუ როგორ მოქმედებდა პოლიცია. მას შემდეგ, რაც 26 მაისის გამო ჩემ წინააღმდეგ საქმე აღიძრა, პროკურატურა და შს სამინისტრო, მიუხედავად ჩემი ადვოკატების არაერთი თხოვნისა, უარს ამბობდნენ ამ დასკვნის გასაჯაროებაზე. მას შემდეგ, რაც მივმართეთ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და რაც საელჩო უშუალოდ ჩაერია, ეს დასკვნა დაცვის მხარეს გადაეცა. იმ შემთხვევაში, თუ ეს დასკვნა არ ჩაიდება, ამ პროცესებს აზრი ეკარგება. ამ დასკვნის შემდეგ ვერც ერთი მოსამართლე ვერ იმსჯელებს ჩემს ბრალეულობაზე. საქართველოს ხელისუფლებისთვის და ბიძინა ივანიშვილისთვის კი ეს დასკვნა საბედისწეროა. ამ დასკვნის არჩადება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია,“ - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

შესაბამისი დასკვნის მტკიცებულებებში ჩადების შუამდგომლობით სასამართლოს ვანო მერაბიშვილის ადვოკატებმა მიმართეს, პროკურატურა კი დაცვის მხარის შუამდგომლობას არ დაეთანხმა. პროკურატურაში განმარტავენ, რომ დასკვნა საქმეში ვერ ჩაიდება, რადგან დაცვის მხარეს დასკვნის ავტორები დასაკითხ პირთა შორის არ ჰყავს შეყვანილი.

„ბრალდების მხარემ „დენსუსის“ დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო მოითხოვა, რომ დაცვის მხარეს აღნიშნული მტკიცებულება კანონის მოთხოვნათა დარღვევით ჰქონდა წარმოდგენილი, რაც გამოიხატა იმაში, რომ დაცვის მხარემ აღნიშნული დასკვნის შემადგენელი პირები დასაკითხ პირთა სიაში ვერ წარმოადგინა. მათი დაკითხვის გარეშე კი საერთოდ წარმოუდგენელია, ამ დასკვნის დაშვება-არდაუშვებლობაზე ვიმსჯელოთ,“ - განაცხადა პროკურორმა ნათია მეზვრიშვილმა.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატ ოთარ კახიძის განცხადებით, კომპანია «დენსუსი», რომელმაც, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დაკვეთით, 26 მაისს პოლიციელების ქმედების შესახებ დასკვნა წარმოადგინა, შსს-სთან დღესაც თანამშრომლობს.

ადვოკატის თქმით, **პროკურატურა მაქსიმალურად ცდილობდა, დოკუმენტი არ გასაჯაროებულიყო, ამით კი საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს ახადა ფარდა.**

კომპანია, რომელიც ამ კვალიფიციური დასკვნის ავტორია, დღესაც თანამშრომლობს შსს-სთან და პოლიციელებს აქციების დაშლის შემთხვევაში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას ასწავლის. პროკურატურის მხრიდან იმაზე საუბარი, რომ დასკვნა საქმეს არ უნდა დაერთოს, რადგან ავტორები ვერ იკითხებიან, სრული აბსურდია. პროკურატურამ თვითონვე დაასახელა იმ სამი ექსპერტის გვარი, რომლებიც ამ დასკვნის შედგენაში მონაწილეობდნენ, ყოველგვარ მიკერძოებულობაზე საუბარი ზედმეტია, რადგან დასკვნა მაშინ შეიქმნა, როცა ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ არ იყო აღძრული სისხლის სამართლის საქმე. სიმართლე გითხრათ, ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ახადა ფარდა პროკურატურამ საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს, - განაცხადა კახიძემ.

მისივე თქმით, «დენსუსის» დასკვნის მიხედვით, თავად აქციის დაშლა სწორად იყო დაგეგმილი, თუმცა შემდეგ რიგი პოლიციელების მხრიდან გადაცდომებს ჰქონდა ადგილი და მინისტრის ბრალეულობა არ იკვეთება.

ადვოკატების ინფორმაციით, კომპანია, რომელმაც 26 მაისს განვითარებულ მოვლენებზე დასკვნა მოამზადა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა დაიქირავა.

შს მინისტრის ყოფილი მოადგილე შოთა უტიაშვილის განცხადებით, აღნიშნული დასკვნა, როგორც მტკიცებულება, საქმეში თავად პროკურატურამ ჩადო. უტიაშვილს უკვირს, რატომ მიიჩნია დღეს არასარწმუნოდ პროკურატურამ საქმეში მის მიერვე ჩადებული მტკიცებულება.

ამ დასკვნის შინაარსს კარგად ვიცნობ. ის დაცვის მხარეს თავად პროკურატურამ გადასცა, რომელმაც თავად ჩადო ეს დასკვნა საქმეში, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება. დასკვნას თან ახლავს წერილი, რომელიც ამერიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზეა გამოგზავნილი. პროკურატურის მხრიდან იმის მტკიცება, რომ ეს დოკუმენტი არ არის ვალიდური, ცოტა უცნაურია. ასევე, ხელთ მაქვს პროკურორის მიერ გამოქვეყნებული განცხადება, სადაც წერია: საქართველოს მთავარი პროკურატურა მიიჩნევს ამერიკული კომპანია დენსუსის მიერ საქართველოს შსსთვის შედგენილი დასკვნას მაღალკვალიფიციურად. აღნიშნული დასკვნა არათუ ეწინააღმდეგება ივანე მერაბიშვილისთვის წარდგენილ ბრალდებას, არამედ ავსებს მას და ადასტურებს ამ ბრალდების კანონიერებას. დღეს რა მოხდა ისეთი, რომ მოულოდნელად ეს დაკვნა არავალიდური გახდა? ძალიან უცნაურია, - აღნიშნა უტიაშვილმა.

ჩაიდება თუ არა «დენსუსის» დასკვნა საქმეში, სავარაუდოდ, შემდეგ პროცესზე გახდება ცნობილი.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე დასაკითხ მოწმეთა ნუსხა, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეებმა წარმოადგინეს. დაცვის მხარის დასაკითხ პირთა შორის საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები, მათ შორის გია ლორთქიფანიძე, შოთა უტიაშვილი, შოთა ხიზანიშვილი, შალვა ჯანაშვილი, კახა ლეგაშვილი, ირაკლი ფირცხალავა, გოგა გრიგალაშვილი და სხვა პირები არიან.

რაც შეეხება ბრალდების მხარეს, პროკურატურის დასაკითხ პირთა შორის არიან ნინო ბურჯანაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, სოსო ჯაჭვლიანი, შალვა ოგბაიძე, კახა კუკავა და თემურ შაშიაშვიალი.

ამასთან, პროკურატურის მოწმეები არიან შს მინისტრის ყოფილი მოადგილე შალვა ჯანაშვილი და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე გოგა გრიგალაშვილი.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატ ოთარ კახიძის განცხადებით, შალვა ჯანაშვილი ბრალდების მხარის მოწმეა, მაგრამ თუ პროკურატურა მის დაკითხვაზე უარს იტყვის, შს მინისტრის ყოფილ მოადგილეს დაცვის მხარე აუცილებლად დაკითხავს.

„მტკიცებულებათა ნუსხაში არიან 26 მაისის მიტინგში მონაწილე სხვადასხვა პირები, რომლებიც მიტინგის დაშლის შესახებ საუბრობენ, თუმცა ისინი მერაბიშვილის ბრალეულობის შესახებ არაფერს ამბობენ. ალბათ, ობიექტური მოქალაქე აცნობიერებს, რომ ძალადობრივი ხასიათის მიტინგი უნდა დაშლილიყო. შეიძლება, ცალკეულმა პოლიციელმა ძალას გადაამეტა, თუმცა ეს ვანო მერაბიშვილის გადაწყვეტილებასთან, რომ მიტინგი უნდა დაშლილიყო, არანაირ კავშირში არ არის. მერაბიშვილის წინააღმდეგ ცრუ ჩვენება ბატონ ჯანაშვილს აქვს მიცემული, თუმცა ჩვენ ასევე გვაქვს დასკვნა, რომლის მომზადებაშიც მინისტრის მოადგილეობის ჟამს ჯანაშვილიც იყო ჩართული. საინტერესოა, რას უპასუხებს იმ კითხვებს, რომლებიც ეხება თავად მიტინგის დაშლის გადაწყვეტილებას და იმ არგუმენტებს, რომლებიც დასკვნაშია,“ - განაცხადა კახიძემ.

26 მაისის საქმეზე ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესი 27 ნოემბერს განახლდება.

ბაჩო ახალაიას საქმეზე პროცესი 25 ნოემბერს გაგრძელდება

ბაჩო ახალაიას საქმეზე სააპელაციო სასამართლოში პროცესი გუშინ განახლდა. თავდაცვის ყოფილი მინისტრი და მასთან ერთად ბრალდებულები პირველი ინსტანციის სასამართლომ ე.წ. სამხედროების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, ასევე ზვიად აბესაძისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის საქმეზე უდანაშაულოდ ცნო.

გამამართლებელი განაჩენი პროკურატურამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. ბრალდება იმედოვნებს, რომ მეორე ინსტანციის სასამართლო ახალაიას და მასთან ერთად ბრალდებულებს გაამტყუნებს, დაცვის მხარე კი სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას ელოდება.

სააპელაციო სასამართლოში პროკურატურის საჩივრის განხილვა თითქმის დასრულებულია. მომდევნო პროცესი 25 ნოემბერს ჩაინიშნა, სადაც მხოლოდ ერთი გამართლებული პირის ადვოკატი იტყვის დასკვნით სიტყვას, რის შემდეგაც აღნიშნულ საქმეზე საქალაქო სასამართლოს მიერ გამართლებულ ბაჩო ახალაიას და მასთან ერთად ბრალდებულ შვიდ პირს საბოლოო სიტყვის თქმის უფლება მიეცემათ. ამის შემდეგ სასამართლო კოლეგია სათათბიროდ გავა.

„სასამართლოს შეუძლია, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება შეცვალოს, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ასე არ მოხდება, ვინაიდან ახალი არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. თავის დროზე სასამართლომ ყველა ეს მტკიცებულება გამოიკვლია და ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო,“ - განაცხადა ახალაიას ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

პროკურორი ირაკლი ნადარეიშვილი ბაჩო ახალაიას ადვოკატების განცხადებას გამოეხმაურა, სადაც დაცვის მხარე აცხადებდა, რომ პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოში ინტერპრეტირებული და განსხვავებული დასკვნითი სიტყვა წარმოადგინა.

პროკურორის განცხადებით, ეს ბუნებრივი პროცესია, რადგან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბრალდების მხარეს აქვს გასაჩივრებული.

„ჩვენი დასკვნითი სიტყვა აგებულია იმ განაჩენის უზუსტობებზე, რომელიც საქალაქო სასამართლომ გამოიტანა. სააპელაციო სასამართლოში ბრალდების მხარემ წარმოვადგინეთ ის არგუმენტები, თუ რატომ არ იყო სწორი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რატომ არ იყო დასაბუთებული და რატომ იყო მიკერძოებული. ჩვენ წარმოვადგინეთ არა მხოლოდ მოწმეების ჩვენებების მოკლე ანალიზი, არამედ ციტატები სასამართლოში მოწმეთა ჩვენებებიდან,“ - განაცხადა ირაკლი ნადარეიშვილმა.

ამასთან, პროკურორმა გუშინდელი პროცესის დასრულების შემდეგ ბაჩო ახალაიას ადვოკატი რომეო საჯაია მუქარაში დაადანაშაულა.

„წინა პროცესზე რომეო საჯაიას სიტყვაში მუქარამ გაიჟღერა და დღეს მან ეს მუქარა სასამართლო პროცესზე გაიმეორა, „ამ სასამართლოზე რა ბედი ეწია კბილაშვილს, ყველამ ვნახეთ და რა ბედი გეწევათ თქვენ, აწი ნახეთ“ - ასეთი იყო მისი გამოსვლა. ბრალდების მხარე ეფუძნება მხოლოდ იმ მტკიცებულებას, რაც მოპოვებულია გამოძიებით და რასაც ამბობენ დაზარალებულები და მოწმეები. მტკიცებულება მოპოვებულია პროცესუალური წესით. ვის რა ბედი ეწევა და ჩვენს მომავალზე ფიქრს ურჩევნია, საკუთარ მომავალზე იფიქროს,“ - განაცხადა ირაკლი ნადარეიშვილმა

სამოა თბილისშია, ბორჯღალოსნები - „შევარდენზე„

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

უდავოა, საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. სამოა მსოფლიო რეიტინგში მერვეა და სანაქებო რაგბის თამაშობს. ფიზიკურად ძლიერები არიან და მათი რაგბიც აგრესიულია. საქართველო კი აშშ-თან წაგებამ და რუმინეთის კანადაზე გამარჯვებამ რეიტინგში მე-17 საფეხურზე დააქვეითა. ასე რომ, შაბათის მატჩი მრავალმხრივ საინტერესოა.

ბორჯღალოსნები „შევარდენის“ ბაზაზე ვარჯიშობენ. გუშინ ღია ვარჯიში ჰქონდათ. ბიჭები ჯანზე არიან. კანადის „ნეკერჩხლის ფოთლებთან“ თამაშსა და ჩხუბში ტრავმები კი მიიღეს, მაგრამ ამერიკელ „არწივებთან“ არავინ დაშავებულა.

სამოა თბილისშია - ჩამოვიდნენ ირლანდიისგან შერცხვენილები (9:40) და ფრანგი „ბარბაროსებისგან“ დამარცხებულები (19:20). ჩვენი არ იყოს, კუნძულელებსაც აკლიათ რამდენიმე წამყვანი მორაგბე.

საქართველო სამოას შაბათს მიხეილ მესხის სტადიონზე დაუხვდება. მატჩი 16:30 საათზე დაიწყება. ბილეთის ფასი 1 და 3 ლარია.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა:

შერკინება: დავით ხინჩიგაშვილი („რასინგ მეტრო“, საფრანგეთი), მიხეილ ნარიაშვილი („მონპელიე“, საფრანგეთი), ზურაბ ჟვანია („სტად ფრანსე“, საფრანგეთი), სიმონ მაისურაძე („ბანიერი“, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი („არმია“, თბილისი), რევაზ ბელქანია („ლელო“, თბილისი), დავით ქუბრიაშვილი („სტად ფრანსე“, საფრანგეთი), ლევან ჩილაჩავა („ტულონი“, საფრანგეთი), კონსტანტინე მიქაუტაძე („ტულონი“, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე („ტარბი“, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი („ორიაკი“, საფრანგეთი), გიორგი ნემსაძე („ტარბი“, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე („მონპელიე“, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი („ბასი“, საფრანგეთი), გივი ბერიშვილი („ლოკომოტივი“, თბილისი), გიორგი თხილაიშვილი („არმია“, თბილისი);

უკანა ხაზი: გიორგი ბეგაძე („ყოჩები“, ბოლნისი), ვაჟა ხუციშვილი („ხარები“, რუსთავი), მერაბ კვირიკაშვილი („ვიენი“, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე („ბანიერი“, საფრანგეთი), ლაშა ხმალაძე („ლელო“, თბილისი), მერაბ შარიქაძე („ბურგ-ან-ბრესი“, საფრანგეთი), დავით კაჭარავა („ენისეი“, რუსეთი), თედო ზიბზიბაძე („პერიგო“, საფრანგეთი), თამაზ მჭედლიძე („ბურგ-ან-ბრესი“, საფრანგეთი), ირაკლი ყიასაშვილი („ლელო“, თბილისი), ბექა წიკლაური („ლოკომოტივი“, თბილისი).

მთავარი მწვრთნელი: მილტონ ჰეიგი (ახალი ზელანდია)

კობიაშვილი „ინტერს„ და იაშვილს ეწვია

აზერბაიჯანის „ინტერში“, რომელსაც კახა ცხადაძე უდგას სათავეში, ოთხი ქართველი - გიორგი ლომაია, ლაშა სალუქვაძე, ალექსანდრე იაშვილი და ბაჩანა ცხადაძე თამაშობს. ორი დღის წინ ქართველთა ოთხეულს გერმანიის „ჰერტას“ მცველი ლევან კობიაშვილიც შეუერთდა, ოღონდ სტუმრის სტატუსით. საქმე ის არის, რომ „კობიმ“ ბუნდესლიგაში სანაკრებო თამაშებით გამოწვეული პაუზით ისარგებლა და ბაქოში მეგობარ ალექსანდრე იაშვილს ესტუმრა. სტუმრობა კი „ინტერისა“ და „სუმგაითის“ ამხანაგურ თამაშს დაემთხვა, რომელიც კახა ცხადაძის გუნდმა 8:3 მოიგო. მოგებულ მატჩში ერთი გოლითა და საგოლე გადაცემით თავისი წვლილი შეიტანა იაშვილმა.

„ინტერის“ ოფიციალურმა ვებგვერდმა ბერლინელთა 36 წლის ლეგიონერს ინტერვიუ ჩამოართვა.

- ჯერ ის გვითხარით, ბაქოში რა ქარმა გადმოგაგდოთ? როგორ მოხვდით „ინტერისა“ და „სუმგაითის“ მატჩზე?

- აქ ჩემს მეგობრებთან ჩამოვედი. უფრო კონკრეტულად, ალექსანდრე იაშვილთან. დიდი ხანია ვმეგობრობთ. ჯერ თბილისის „დინამოში“ ვთამაშობდით ერთად, შემდეგ კი - გერმანულ „ფრაიბურგში“. დიდი ხნის განმავლობაში გამოვდიოდით საქართველოს ნაკრებში. მე და ალექსანდრე ძმებივით ვართ. ახლა, სანაკრებო მატჩების გამო, ჩემპიონატში მცირე პაუზა გვაქვს და გუნდი სამი დღით დაასვენეს. გადავწყვიტე, ეს დრო მეგობართან გამეტარებინა. შევატყობინე, რომ მოვდიოდი და ასე აღმოვჩნდი ბაქოში. ჩვენ ხშირად ვსტუმრობდით ერთმანეთს, როდესაც გერმანიაში სხვადასხვა კლუბში ვთამაშობდით.

- აზერბაიჯანის დედაქალაქმა თქვენზე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა?

- ბოლოს ათი წლის წინ ვიყავი ბაქოში. თქვენს ქალაქში ბევრი რამ შეცვლილა, ძალიან გალამაზებულა. ბევრი საინტერესო ადგილია. საფეხბურთო სფეროში განხორციელებული ცვლილებებიც მომეწონა. ბაქოში ბევრი სტადიონია, ბევრი კონკურენტუნარიანი გუნდია, რაც ადგილობრივი ჩემპიონატის განვითარებას ხელს უწყობს. კარგია, რომ აზერბაიჯანში ასეთი პირობები იქმნება.

- კიდევ რა იცით აზერბაიჯანულ ფეხბურთზე? იქნებ ალექსანდრე იაშვილმა რამე გიამბოთ?

- აზერბაიჯანის ნაკრებზე მწირი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ თქვენს ჩემპიონატზე რაღაც ვიცი. ინტერნეტის საშუალებით „ინტერის“ გამოსვლას თვალს ვადევნებ. ვცდილობ ალექსანდრე იაშვილის თამაშს ვუყურო. „ინტერს“ ხელმძღვანელობს კახა ცხადაძე, რომელთანაც აგრეთვე მეგობრული ურთიერთობა მაქვს. გუნდის ზოგიერთ სხვა ფეხბურთელსაც ვიცნობ. „ინტერს“ ვგულშემატკივრობ და მიმდინარე სეზონში გუნდს წარმატებას ვუსურვებ.

- როგორ მიდის თქვენი საქმე ბერლინის „ჰერტაში“?

- არცთუ ცუდად. სეზონის ბოლოს „ჰერტასთან“ კონტრაქტი მეწურება, მაგრამ ახლა მთლიანად ამ გუნდზე ვარ კონცენტრირებული.

- იქნებ კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ ალექსანდრე იაშვილს შეუერთდეთ?

- არ ვიცი, არ ვიცი. ამაზე ჯერ არ მიფიქრია. როგორც უკვე ვთქვი, ჯერჯერობით მხოლოდ „ჰერტაზე“ ვფიქრობ. მომავალში რა იქნება, არ ვიცი.

კრიშტიანო რონალდო „ოქროს ბურთს„ არ დაესწრება

ᲑᲘᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

პორტუგალიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალისა“ თავდამსხმელი კრიშტიანო რონალდო უარს ამბობს დაესწროს „ოქროს ბურთის“ დაჯილდოების ცერემონიალს. უარის მიზეზი კი ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი ყოფილა.

საქმე ის არის, რომ ოქტომბრის მიწურულს, როდესაც ფიფას თავკაცი ოქსფორდს სტუმრობდა, „ოქროს ბურთის“ (Ballon d'Or) პრეტენდენტების - არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონას“ თავდამსხმელის ლიონელ მესისა და კრიშტიანო რონალდოს შედარება სთხოვეს, რაზეც ბლატერმა თქვა: „მესი და რონალდო ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან, მაგრამ ძალზე განსხვავებულნი. ლეო კარგი ბიჭია, ისეთი, ყველა მშობელს რომ მოეწონებოდა. ძალიან სწრაფია, ბრწყინვალედ თამაშობს, თითქოს ცეკვავს. კეთილი ბიჭია და ყველას უყვარს. ამიტომ ბევრ ხმას იღებს.

რაც შეეხება კრიშტიანოს, ის როგორღაც განსხვავებულია. მოედანზე ასმეთაურივით დადის. რა თქმა უნდა, ასეთი ხალხიც საჭიროა. ერთ-ერთი მათგანი დიდ დროს ხარჯავს საპარიკმახეროში. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ვერ ვიტყვი, რომელია უკეთესი, მაგრამ პირადად მე მესის ვირჩევ“.

ბლატერის ამ სიტყვების მერე პორტუგალიელს ბევრი გამოექომაგა - კრიშტიანოს დასაცინი არაფერი სჭირსო. ბლატერის იმ გამონათქვამმა კი აღაშფოთა მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა და ფიფას პრეზიდენტისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა.

მოგვიანებით ბლატერმა „ტვიტერის“ საშუალებით მართლაც მოიხადა ბოდიში, მაგრამ...

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პორტუგალიელს წყენამ არ გაუარა. ამბობენ, ბლატერის იმ შეფასების გამო რონალდო უარს ამბობს 2014 წლის 13 იანვარს ციურიხში „ოქროს ბურთის“ დაჯილდოების ცერემონიალს დაესწროს, რათა ფიფას პრეზიდენტთან შეხვედრას თავი აარიდოსო.

პორტუგალიელი ამბობს, რომ ფიფას პრეზიდენტთან დაკავშირებით პრობლემა ამოწურულია.

„რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ, ხუმრობით თუ სერიოზულად, დაიქადნა, თუ „ოქროს ბურთს“ რონალდოს არ გადასცემენ, საგაფიცვო კომიტეტს შევქმნიო.

ბუკმეკერული კანტორების ვერსიით, კრიშტიანუ „ოქროს ბურთის“ მოგების ფავორიტთა სამეულში შედის ლიონელ მესისთან და ფრანკ რიბერისთან ერთად.

«ზუგდიდის» მთავარი მწვრთნელი, გიორგი დარასელია გახდა

საფეხბურთო კლუბ «ზუგდიდის» ირგვლივ განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენების შედეგად კომპრომისი გამოიძებნა. საკუთარი განცხადების საფუძველზე ს.კ.»ზუგდიდის» დირექტორის პოსტი მალხაზ ჭეჟიამ დატოვა და და განცხადება მას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაუკმაყოფილა. საფეხბურთო კლუბი «ზუგდიდი» მადლობას უხდის აწ უკვე ყოფილ დირექტორს კლუბში გაწეული საქმიანობისთვის. გუნდის მთავარ მწვრთნელად კი გიორგი დარასელია დაინიშნა, რომელმაც დღეს, საფეხბურთო კლუბ «ზუგდიდში» პირველი ვარჯიში გამართა. გიორგი დარასელიას საფეხბურთო წრეებში წარდგენა არ სჭირდება, უბრალოდ ფეხბურთის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ ის ისრაელიდან დაბრუნების შემდეგ გორის «დილას» ჩაუდგა სათავეში, ხოლო ახალგაზრდა სპეციალისტმა გორიდან, რუსეთში გადაინაცვლა და ხაბაროვსკის «სკა ენერგიას» დამრიგებელი გახდა. ამჯერად როგორც აღვნიშნეთ დარასელია ისევ ქართულ კლუბს გაწვრთნის და მას ასისტენტობას კლიმენტი წიტაიშვილი გაუწევს.

რაც შეეხება სერგო გაბელაიას - პირველ რიგში ზუგდიდური კლუბი გაბელაიას დიდ მადლობას უხდის, ხოლო, ამ გამოცდილ სპეციალტთან მიაღწული შეთანხმების შედეგად, კლუბსა და მწვრთნელს შორის კონტრაქტი გაწყდა.

ს.კ.»ზუგდიდი» კი ახალ მთავარ მწვრთნელს, გიორგი დარასელიას ოფიციალურად, მორიგ ტურის წინ, თბილისის «ვიტ ჯორჯიასთან» გასამართ მატჩამდე წარადგენს.

Fczugdidi.ge

„მგზავრები„

ზურა თალაკვაძე

კალათბურთში სამოყვარულო ლიგა შეიქმნა და იქ უკვე რამდენიმე ტური მორჩა. საინტერესო, ახალი ტურნირია. ზოგიერთ თამაშზე უფრო მეტი მაყურებელი მიდის, ვიდრე - სუპერლიგაზე. ესეც არანორმალური ქართული აზროვნების ბრალია. ლეგიონერებით გაძლიერებულ ტურნირზე დაძალებით, დედის დაფიცებით მიდიან და მოყვარულებზე ხალხი ისედაც მიდის. ალბათ, ესეც მოგვარდება. უბრალოდ, სუპერლიგის მონაწილეებიდან თუნდაც თითო მოთამაშეზე 5-5 კაცი რომ მივიდეს, რიგით გულშემატკივართან ერთად, კარგი საზოგადოება მოგროვდება. დავუბრუნდეთ სამოყვარულო ლიგას, რომელიც დაიწყო და რომელშიც რამდენიმე საინტერესო გუნდი იღებს მონაწილეობას. ნამდვილად საინტერესო გუნდები. ერთ-ერთია „მგზავრები", სადაც ბევრი ნაცნობი პერსონაჟი მივიდა. უფრო ახლოს გავიცნოთ „მგზავრები".

„მგზავრები" ერთ-ერთმა სამშენებლო კომპანიამ დააფინანსა. ის კომპანიაც „მგზავრებია". უბრალოდ, დასახელება ოდნავ იშლება და გამოდის „მგზავრები დეველოპმენტი". ჩვეულებრივი, სტანდარტული დასახელება არასტანდარტული საკალათბურთო გუნდისთვის, რომელიც სოლიდურად გამოიყურება. იდეაში, ცსკა-ც სოლიდურად გამოიყურება და იმ გუნდს წელს უკვე ბევრმა აუწია ყური. „მგზავრები" თავის დონეზე ყურადღებით აკეთებენ საქმეს და ვისაც რა ევალება, ყველა ბოლომდე მიდის, საქმეს აკეთებს. ახალი ფორმები? კი ბატონო. კომპანიის დამფუძნებელმა დავით ცერცვაძემ იტალიაში შეუკვეთა ამუნიცია და გუნდი, გენერალურ მენეჯერთან ერთად, გემოვნებით შეიმოსა. „მგზავრები" სამოყვარულო ლიგაზე ყველაზე სადა, სოლიდური და საინტერესო სამოსით გამოირჩევიან. ცერცვაძე მერვე კლასამდე თამაშობდა კალათბურთს და მერე შეეშვა, სხვა პროფილით წაიყვანა თავისი ინტერესები. სამოყვარულო ლიგისთვის გუნდი მზად არის. გადავდივართ „მგზავრების" შემადგენლობაზე, რომელიც ისეთივე სოლიდურია, როგორც კლუბის ამუნიცია.

შიო ხეცურიანი კლუბის არაოფიციალური ლეგიონერია. ამერიკაში არასაკალათბურთო ამბებში იღებდა პრაქტიკას, იმაღლებდა კვალიფიკაციას, მუშაობდა და აქ, თავის უშუალო საქმესთან ერთად, კალათბურთსაც მიხედავს. ხეცურიანი სხვაზე უკეთეს კონდიციებშია და ეს კარგია. ლეგიონერი თავის სტატუსს ამართლებს.

გიორგი მარკოიშვილი ადრე, სუპერლიგა რომ არ არსებობდა, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე გახდა. გიო მართლა საუკეთესო იყო. მშვენიერი საშუალო, სტაბილური სამიანი, შედეგიანი, კლუბისთვის აუცილებელი პერსონა, რომელიც დღეს ზედმეტი წონით თამაშობს. და ეს წონა წავა. უნდა წავიდეს. მარკოიშვილი მოუმატებს.

გიორგი გაგნიძე საქართველოს ნაკრებში იყო. ნაკრებში იყვნენ ხეცურიანი და მარკოიშვილიც, მაგრამ იქ სხვა კუთხით გავხსენით საუბარი. გაგნიძეც შევა ფორმაში და გიორგი კლუბისთვის აუცილებელია. პროფესიონალებიდან წასვლის შემდეგ, გაგნიძემ ერთხელ მოიგო ქუჩის კალათბურთის საინტერესო ტურნირი და მოყვარულების დონეზე თამაშის გამოცდილება აქვს.

იქვეა ირაკლი ჯაფარიძე. ცენტრი, რომელიც რუსთავში რამაზ გოგობერიშვილთან ერთად ყველაფერი იყო. ჯაფარიძეც ნაკრების წევრი იყო. გახსოვთ ირაკლის თამაში? მოძრავი ცენტრი, რომელიც უფრო მეოთხე ნომერივით აზროვნებდა, მაგრამ მოსახსნელს ხსნიდა, ჩასაგდებს აგდებდა და ყველაფერს ასწრებდა. ძალიან კარგი მოთამაშე. სიმაღლისა და კარგი კოორდინაციის მშვენიერი მიქსტი.

ლაშა ლოსაბერიძე თავისი თაობის დროს ჩანდა. „დინამოში" ჰქონდა კარგი პერიოდი და რაღაც მომენტში არ გაუმართლა, ტრავმებისა და სხვა ხელშემშლელი ფაქტორების გამო ყველაფერი ისე ვერ აეწყო, როგორც თვითონ უნდოდა. „მგზავრებში" ლოსაბერიძეც უმატებს. სამწამიანში ცენტრს აყენებს, მოგიხსნის, სამიანს გაუშვებს და ჩააგდებს, დაგაზღვევს. ეს ბიჭი ვიცით და ამ ბიჭს ვენდობით.

ბუბა ბერიშვილი დღეს „არმიაშია". მთავარი მწვრთნელის ასისტენტი და ბერიშვილის კალათბურთი ესთეტიკურად გამორჩეული, არასტანდარტული იყო. ბუბა იგებდა და ამას გემოვნებით აკეთებდა. დახვეწილი, გამორჩეული დრიბლინგი. სტაბილური სროლა და ინტელექტი. ტრავმამ ბერიშვილს რამდენიმე სეზონი და მოთამაშის კარიერა წაართვა. ბუბასთან ერთად ვბრუნდებით ახალ დონეზე.

ბაჩანა სულაძეს კალათბურთში თავისი საქმე გაკეთებული აქვს. საკალათბურთო წრეებში იცნობენ დავით ღლონტს. ირაკლი კონჯარიამ ბევრი ითამაშა. „მგზავრების" შემადგენლობაში არიან ირაკლი მეგრელიშვილი, გიორგი თავართქილაძე და, ბუნებრივია, დავით ცერცვაძე. გუნდის შემქმნელი მაქსიმალურად მონდომებულია. გუნდიც უმატებს. ერთხელ, არ დაგეზაროთ, მიდით „დინამოს" ბაზაზე (სადაც სამოყვარულოს ტურნირი დაიქოქა) და უყურეთ „მგზავრების" თამაშს. საინტერესო და ყველასგან გამორჩეული კლუბია. ერთი ერთთვიანი შეკრება და კლუბი სუპერლიგისთვისაც მზად იქნება. ხუმრობის გარეშე.

კლუბშია კოტე ტუღუში. ყოველთვის ფორმაში, ყოველთვის სპორტულ-დადებითად განწყობილი. „არმიაში" კოტე ბევრს ასწრებს და შარშან, ფლეი ოფში, ტუღუშმა ლეგიონერებით გაძლიერებულ „დინამოს" სერიოზულად შეუსრულა. იმ „არმიას" რამდენიმე ლიდერი არ ჰყავდა და „დინამო" მაინც დაამარცხა. „მგზავრები" არ არის „არმია", მაგრამ სამოყვარულო ლიგაც არ არის სუპერლიგა და ამ შემადგენლობით ტუღუშმა აქ ბოლომდე უნდა გაიაროს. მთავარია, ბიჭებმა ითამაშონ. პრობლემები უპრობლემოდ მოგვარდება.

ამ ლიგაზე კიდევ რამდენიმე საინტერესო კლუბია და ეს თემაზე მერე ვისაუბროთ. სამოყვარულო ლიგაც უფრო აზრზე მოვა და უფრო მეტი იქნება დასაწერი. მანამდე, დავასრულოთ ისე, როგორც დავიწყეთ...

იმით, რომ კალათბურთში სამოყვარულო ლიგა შეიქმნა და იქ უკვე რამდენიმე ტური დამთავრდა. საინტერესო, ახალი ტურნირია. ზოგიერთ თამაშზე უფრო მეტი მაყურებელი მიდის, ვიდრე - სუპერლიგაზე. ესეც არანორმალური ქართული აზროვნების ბრალია. ლეგიონერებით გაძლიერებულ ტურნირზე დაძალებით, დედის დაფიცებით მიდიან და მოყვარულებზე ხალხი ისედაც მიდის. ალბათ, ესეც მოგვარდება. უბრალოდ, სუპერლიგის მონაწილეებიდან, თუნდაც თითო მოთამაშეზე 5-5 კაცი რომ მივიდეს, რიგით გულშემატკივართან ერთად, კარგი საზოგადოება მოგროვდება. დავუბრუნდეთ სამოყვარულო ლიგას, რომელიც დაიწყო და რომელშიც რამდენიმე საინტერესო გუნდი იღებს მონაწილეობას. რეალურად საინტერესო გუნდები. ერთ-ერთია „მგზავრები", რომელშიც ბევრი ნაცნობი პერსონაჟი მივიდა. კლუბი უკვე გამოირჩევა. წარმატებები ვუსურვოთ.